

EMC

ქვედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

2016 წელი

ქვედუნარტიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იზკლემენტაციის პროცესის შეფასება

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

კვლევის ავტორი: ლელა გვიშიანი
კვლევის ხელმძღვანელი: ლინა ღვინიაიძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC
Human Rights Education and Monitoring Center



კვლევა მომზადდა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) მიერ.

პროექტის კოორდინატორი: ნინო კიკნაძე

რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე

დაკაბადონება: ალექსი კახნიაშვილი

ბეჭდვა: შპს „პროლოგი“

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016

მისამართი: ირ. აბაშიძის ქუჩა 12ა, 0179, თბილისი

ტელ: 2 23 37 06

www.emc.org.ge

<https://www.facebook.com/RIGHTSEMC>

სარჩევი

1. შესავალი	5
2. მეთოდოლოგია	6
3. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმამდელი მოდელი	8
4. თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების შინაარსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით	9
5. ქმედუნარიანობის სისტემის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შუქზე	12
6. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმირებადი მოდელი	16
7. მხარდაჭერის მიღების წესი და პროცედურა	19
7.1. ცნებები	19
7.2. მხარდაჭერის შინაარსი და ფარგლები	19
7.3. მხარდაჭერის მიღების მიზნით სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის პროცედურა	20
7.4. მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის თაობაზე სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურა	20
7.5. ექსპერტიზა მხარდაჭერის საჭიროებისა და ფარგლების განსაზღვრის თაობაზე	21
7.6. სასამართლო გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე	21
7.7. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობა	22
7.8. ქმედუნაროდ აღიარებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში	22

8.	ქმედუნარიანობის სისტემის ახალი მოდელის მიმართება ცალკეულ უფლებებთან	24
8.1.	შრომის უფლება	24
8.2.	საარჩევნო უფლება	26
8.3.	პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება	28
8.4.	ქორწინების უფლება	29
8.5.	მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება	31
8.6.	ჯანმრთელობის დაცვის უფლება	32
8.7.	სამოქალაქო გარიგებების დადება	34
9.	პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესის ხარვეზები	38
9.1.	პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა	38
9.2.	ექსპერტიზის ჩატარება, იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნა და გასაჩივრება	40
10.	პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	43
10.1.	სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის ეტაპი	43
10.2.	მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ინდივიდუალური შეფასებისათვის ექსპერტიზის დანიშვნა	44
10.3.	მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სტატუსი სამართალწარმოებაში და სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება	45
10.4.	სასამართლო გადაწყვეტილებები პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე	46
11.	მხარდაჭერის სისტემა, მისი ადმინისტრირება და ზედამხედველობა მხარდაჭერების საქმიანობაზე	50
11.1.	მხარდაჭერის სისტემის დანერგვა	50
11.2.	მხარდაჭერის როლი რეფორმის აღსრულების პროცესში	50
11.3.	მხარდაჭერის სისტემის ადმინისტრირება და ზედამხედველობა მხარდაჭერის განხორციელებაზე	52
12.	რეკომენდაციები	54

1. შესავალი

2013 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში კონვენცია) რატიფიცირება მოახდინა. კონვენციის რატიფიცირებისას, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით, საქართველომ რატიფიცირება არ გაუკეთა დამატებით ოქმს. ასევე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება კონვენციის ძირითადი ტექსტის მე-12 მუხლის დეკლარაციით მიღების შესახებ, რაც სახელმწიფოს მხრიდან თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების რეალიზების განსხვავებულ მოწესრიგებას გულისხმობდა.

თანდართული დეკლარაციის მიხედვით,¹ კონვენციის მე-12 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მისი განმარტება მოხდებოდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციის ტექსტით, სახელმწიფო უარს არ ამბობდა ვალდებულების შესრულებაზე, თავად დეკლარაციის არსებობა ერთგვარად გამოხატავდა სახელმწიფოს მზაობის არარსებობას იმ ვალდებულებების სრულად შესრულებაზე, რომელსაც ქვეყანას კონვენციის მე-12 მუხლი აკისრებდა.

თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლებაზე დეკლარაციის გაკეთების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა, განეხორციელებინა ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ძირეული რეფორმა, რომლის საფუძველიც გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონვენციის რატიფიცირებამდე დაწყებული სამართალწარმოება და მისი შედეგი. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო და გააუქმა ის საკანონმდებლო ნორმები, რომელსაც ეფუძნებოდა ქმედუნარიანობის მოქმედი მოდელი. შედეგად, გარდაუვალი გახდა სისტემური ცვლილებები და საფუძველი დაედო ახალ საკანონმდებლო რეფორმას.²

საქართველოს პარლამენტს განესაზღვრა 6 თვე ქმედუნარიანობის ინსტიტუტის კომპლექსური ცვლილებისა და კანონმდებლობის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შედეგად, ქმედუნარიანობის მექანიზმის ახლებური მოწესრიგება ძალაში შევიდა 2015 წლის 1 აპრილიდან.³

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, ქმედუნარიანობის ახალი მოდელის შეფასებას კონვენციით განსაზღვრული თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შუქზე, გამოკვეთს მის ძირითად მახასიათებლებს, მიდგომებსა და არსებულ სამართლებრივ ხარვეზებს მექანიზმში. დოკუმენტი ასევე აანალიზებს თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების პრაქტიკაში რეალიზების პროცესის შეფასებას და მისი იმპლემენტაციის თავისებურებებსა თუ ხარვეზებს.

1. 2013 წლის 26 დეკემბერის პარლამენტის დადგენილება ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2164946>, ბოლოს ნანახია: 13.05.16
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, „სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით პარლამენტს მისი აღსრულებისათვის ექვსი თვის ვადა განესაზღვრა“ ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2549051>, ბოლოს ნანახია: 13.05.16
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 20/03/2015 სარეგისტრაციო კოდი 040000000.05.001.017672; ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2789947#DOCUMENT:1>; ნანახია 03.03.2016

2. მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, ქმედუნარიანობის მოქმედი სისტემის შეფასება კონვენციის სტანდარტების, კონვენციის წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების დაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე აფასებს ქმედუნარიანობის ახალი ინსტიტუტის რეალიზების პრაქტიკას და იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თუ რეფორმის იმპლემენტაცი-აზე პასუხისმგებელი უწყებები აწყდებიან მისი დანერგვის პროცესში.

შესაბამისად, კვლევა შედგება მოქმედი ნორმატიული ბაზისა და მისი იმპლემენტაციის პრაქტიკის ანალიზისგან. დოკუმენტი აღწერს თანაბარი სამართალსუბიექტობის ახალი მოდელის შესაბამისობას უფლების განმარტების საუკეთესო სტანდარტებთან და არსებული ინსტიტუტის საკანონმდებლო და პრაქტიკულ თავისებურებებს. დოკუმენტი ასევე მოიცავს რეკომენდაციებს რელევანტური სახელმწიფო უწყებების მიმართ, რაც ეყრდნობა კვლევის ფარგლებში გამოვლენილ საკანონმდებლო და პრაქტიკულ ხარვეზებს.

დოკუმენტის მოზადების პროცესში, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ იყენებდა შემდეგ ინსტრუმენტებს:

- ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა;
- საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები.

ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

კვლევის ფარგლებში, მოხდა ეროვნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესწავლა და ანალიზი. ასევე, შესწავლილ იქნა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ უფლების შინაარსთან დაკავშირებით გაკეთებული ინტერპრეტაციები და განმარტებები. კვლევა ასევე ეყრდნობა კონვენციის წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებების ანალიზს ქმედუნარიანობის ცნების საკანონმდებლო მოწესრიგების კუთხით.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

კვლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა რელევანტური დაწესებულებებიდან, ნორმატიული ბაზის შექმნის, ადმინისტრაციული თუ ინსტიტუციური ცვლილებებისა და უწყებების მიერ განვითარებული პრაქტიკის თაობაზე. შესაბამისად, დოკუმენტი ეყრდნობა რეფორმის განმახორციელებელი სხვადასხვა უწყებიდან, მათ შორის, საერთო სასამართლოებიდან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას.

საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი

კვლევის განხორციელებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფოკუსს წარმოადგენდა ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის ფარგლებში, პირის მხარდაჭერის მიმდებარე ცნობის თაობაზე, საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი. შესაბამისად, კვლევის ინსტრუმენტად ჯგუფმა გამოიყენა საერთო სასამართლოების სისტემაში წარმოებული საქმეების დოკუმენტური შესწავლა. სასამართლოებიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულ შემთხვევაში მოგვეწოდა საქმის სრული მასალები. ამდენად, კვლევა უმეტეს ნაწილში ეყრდნობა უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს.

სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები

კვლევა ასევე ეყრდნობა EMC-ის მიერ ორგანიზებული სამუშაო ჯგუფების ფარგლებსა თუ სხვა-

დასხვა ფორუმზე მიღებულ ინფორმაციას, სადაც მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები. კვლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტად ჯგუფმა გამოიყენა ინდივიდუალური ინტერვიუები სფეროს ექსპერტებთან და რელევანტური სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

კვლევის პროცესში ასევე დამუშავდა რეფორმის განმახორციელებელი ორგანოების და მათი წარმომადგენლების მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივები და წინადადებები, რომელიც ეფუძნებოდა რეფორმის პრაქტიკაში რეალიზების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებსა და სირთულეებს.⁴

კვლევის ლიმიტაციები

კვლევის ფოკუსს არ წარმოადგენს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის პრაქტიკის შინაარსობრივი ანალიზი. ამასთან, კვლევა შესაძლოა არ მოიცავდეს ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ნორმატიული მოწესრგებისა თუ დანერგვის პროცესში არსებულ ყველა სირთულეს და ხარვეზს, რამდენადაც ის ლიმიტირებულია იმ პირველადი დაკვირვებებით და გამოცდილებით, რაც ამ დრომდე დაგროვდა რეფორმის განმახორციელებელ უწყებებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და ექსპერტებში.

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და დავით მაღრაძის (სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი (რეგისტრაციის თარიღი: 04.06.15)) ავტორობით მომზადებული საკანონმდებლო წინადადებები/ინიციატივები

3. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმადელი მოდელი

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ქმედუნარიანობის მომწესრიგებელი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობამდე, შიდა სამართლებრივი სისტემა ქმედუნარიანობის განსაზღვრის სტატუსზე დაფუძნებულ მოდელს იყენებდა. კერძოდ, პირისათვის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების ქონის უნარს მისი გონებრივი განვითარებისა და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აფასებდა და პირის ქმედუნაროდ აღიარების შემთხვევაში, სრულად იყენებდა პირის ნების ჩანაცვლების მოდელს.

სამოქალაქო კოდექსი „ჭკუასუსტობას“ ან „სულით ავადმყოფობას“ მიიჩნევდა პირის ქმედუნარიანობის საფუძვლად, რაც გამორიცხავდა ქმედუნაროდ აღიარებული პირის მიერ დამოუკიდებლად სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების შესაძლებლობას და ნებისმიერი სამართლებრივი შედეგის წარმოშობი ქმედების განხორციელებას. პირის ქმედუნაროდ აღიარება არღვევდა მისი სამართალსუბიექტობის უფლებას, რამდენადაც ამგვარი მიდგომა ფაქტობრივად წარმოადგენდა ადამიანის ყველა უფლების ბლანკეტურად და განუსაზღვრელი დროით განხორციელების შეზღუდვის საფუძველს.

სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს, სტატუსის მინიჭებისა და მეურვის დანიშვნისთანავე, ერთმეოდათ ნებისმიერი უფლების განხორციელების შესაძლებლობა. ამ უკანასკნელზე უფლებამოსილება სრულად გადაცემული ჰქონდათ მეურვეებს, რომლებიც ქმედუნაროდ აღიარებული პირების სახელით ახორციელებდნენ ყველა მოქმედებას. პირის ქმედუნაროდ აღიარების შემდგომ, მათ ეზღუდებოდათ ნებისმიერი სამოქალაქო, მათ შორის, წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადების უფლება, ქონების განკარგვის, ქორწინების, შვილების აღზრდის, არჩევნებში მონაწილეობისა, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ნებისმიერი უფლების რეალიზება.

თავის მხრივ, უფლებაშემლახავი იყო პირის ქმედუნაროდ ცნობის პროცედურა. ქმედუნარიანად აღიარება ემყარებოდა პირის დიაგნოზს მისი ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის შესახებ. ქმედუნარიანად აღიარებისას, პირი ვერ ახერხებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობას და სასამართლო მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. გარდა მონაწილეობისა, ქმედუნაროდ აღიარებულ პირს პრაქტიკულად არ შეეძლო მის მიმართ მიღებული არცერთი შუალედური ან საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

მეურვეთა მხრიდან მათი უფლების დარღვევის შემთხვევაში, ქმედუნარო პირები ასევე მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაეცვათ საკუთარი ინტერესები მეურვეების არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისგან და გაესაჩივრებინათ ისინი სასამართლოში ან სხვა ორგანოებში.

ან ლეგიტიმური მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი.¹⁰

კომიტეტი გამოკვეთს წევრ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ ქმედუნარიანობის შეფასების სამ ძირითად - სტატუსზე დაფუძნებულ, ფუნქციონალური განსაზღვრისა და შედეგზე დაფუძნებულ მიდგომას. სტატუსზე დაფუძნებული მიდგომა ემყარება დიაგნოზს დარღვევის თაობაზე, რაც ხდება ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი. შედეგზე დაფუძნებულ მიდგომაში ქმედუნარიანობის შეზღუდვის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ნეგატიურია კონკრეტული მოქმედების შედეგი პირზე. ხოლო ფუნქციონალური განსაზღვრის მოდელი გულისხმობს პირის უნარების შეფასებას და მისი გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას ქმედუნარიანობის შეზღუდვის თაობაზე. კომიტეტი განმარტავს დასახელებული მოდელების მოქმედების ძირითად პრინციპებს და აკრიტიკებს მათ. კომიტეტის მოსაზრებით, სამივე მოდელი სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ცდილობს უარყოს პირის სამართალსუბიექტობა და შექმნას ამ უარყოფის გამამართლებელი ლეგიტიმური საფუძველი. კომიტეტის განმარტების თანახმად, ჩანაცვლებითი მექანიზმი სრულად ახდენს პირის სამართალსუბიექტობის უფლების ხელყოფას, ვერ აზღვევს პირის ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და პირის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გამოყენების პირობებშიც ვერ უზრუნველყოფს უპირატესი სიკეთის დაცვას - პირის ნების აღსრულებას, რაც მისი ავტონომიურობის გამოხატულებაა.¹¹ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირის ნების ზუსტად დადგენა ვერ ხდება, სახელმწიფო ვალდებულია არა მისი საუკეთესო ინტერესებით, არამედ თავად ნების გამოვლენის საუკეთესო განმარტებით იხელმძღვანელოს.¹² მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია ასევე იცავს პირის უფლებას, აღიარებული იქნეს სამართლის სუბიექტად და არ გაეწიოს მხარდაჭერა მისი ნების შესაბამისად.¹³

ამდენად, კონვენციის მე-12 მუხლის ნამდვილი შინაარსი ეწინააღმდეგება სამართალსუბიექტობის აღიარებისას დისკრიმინაციულ მიდგომებს, გმობს ნების ჩანაცვლებითი მექანიზმების გამოყენებას და მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ან რაიმე დარღვევის (ფიზიკური თუ მგრძობელობითი) არსებობა არასდროს უნდა გახდეს საფუძველი სამართალსუბიექტობაზე ან ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმისთვის.¹⁴ ნაცვლად ამისა, კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, დანერგონ მხარდაჭერითი მექანიზმები, რომელიც ორიენტირებული იქნება ნების თავისუფლად გამოვლენისა და აღსრულების ხელშეწყობაზე.

კონვენცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს მხრიდან სრული, საკმარისი და ხელმისაწვდომი მხარდაჭერითი მექანიზმების გაძლიერებას. კომიტეტის განმარტებით, თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც კონვენციის რატიფიცირებისთანავე ხდება შესასრულებლად სავალდებულო და მასზე პროგრესული რეალიზაციის პრინციპი არ მოქმედებს.¹⁵ ამასთან, „სამართალუნარიანობის განხორციელებისას, მხარდაჭერის უფლება არ უნდა შეიზღუდოს არაპროპორციულ ან არაჯეროვან ტვირთზე მითითებით. სახელმწიფოს აქვს აბსოლუტური ვალდებულება უზრუნველყოს სამართალსუბიექტობის განხორციელებაში მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა.“¹⁶

კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი სამართალსუბიექტობის სათანადო რეალიზებისათვის, მოიცავს სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებულ კომპლექსურ ქმედებებსა და სტრატეგიებს. სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულნი არიან, თავი შეიკავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო აქტების შექმნისაგან, ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გაძლიერებას და დამოუკიდებელი გადაწყვეტი-

10. იქვე: პ. 8-9

11. იქვე: პ.27

12. იქვე: პ.21

13. იქვე: პ.19

14. იქვე: პ.9

15. იქვე: პ.30

16. იქვე: პ.34

ლებების მიღების შესაძლებლობას. მათ შორის, სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ისეთი ხარვეზები, რომელიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალუნარიანობის უფლების შეზღუდვას, ან აყენებს დისკრიმინაციულ შედეგს. ამასთან, სახელმწიფოების ვალდებულება გულისხმობს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არადისკრიმინაციული კანონმდებლობის, ასევე უფლებების რეალიზების პროცესში დაბრკოლებათა აღმოფხვრის მიზნით მხარდაჭერი სერვისების შეთავაზებას. თავად მხარდაჭერა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. ეს ფორმები უნდა იყოს კონკრეტული ინდივიდის საჭიროებებზე ორიენტირებული, განსხვავებული ტიპისა და ინტენსივობის ღონისძიება.¹⁷

კონვენციის იმპლემენტაციის პროცესის სათანადოდ წარმართვისა და რეალური თანასწორობის მიღწევის მიზნით, კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს არა კონკრეტულ მექანიზმებს, არამედ ქმედუნარიანობის თანამედროვე კონცეფციის ძირითად პრინციპებს და ელემენტებს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოების პოლიტიკა. კომიტეტის მოსაზრებით, მხარდაჭერა უნდა იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა პირისათვის, უნდა იყოს პირის ავტონომიურობაზე დაფუძნებული და შეესაბამებოდეს მის ნებასა და არჩევანს. სამართალუნარიანობის განხორციელების გარანტიები უნდა მოიცავდნენ დაცვას არაჯეროვანი გავლენისგან, რომლის განხორციელების დროსაც, დაცული უნდა იყოს პირის უფლებების, ნების და არჩევანის პატივისცემა, მათ შორის, რისკის გაწევის და შეცდომის დაშვების უფლების პატივისცემაც. კანონმდებლობა უნდა ტოვებდეს განხორციელებული მხარდაჭერის გადამოწმების შესაძლებლობას და უფლებას, გასაჩივრდეს მხარდაჭერის მიერ განხორციელებული ყველა მოქმედება. ამასთან, თავად მხარდაჭერის შინაარსი უნდა ითვალისწინებდეს პირის უფლებას, უარი თქვას მხარდაჭერაზე და შეწყვიტოს ან შეცვალოს იგი ნებისმიერ დროს.¹⁸

17. იქვე: პ.17

18. იქვე: პ.29

5. ქმედუნარიანობის სისტემის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, შიგნითი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შუამხი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სამოქალაქო კოდექსისა და სხვა კანონთა ნორმები, რომლებიც ქმედუნარიანობის სისტემას და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს ადგენდა. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა იმ დროისათვის მოქმედი, ქმედუნარიანობის ინსტიტუტის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ფუნდამენტური სამართლებრივი ნორმები, რომლებიც კომპლექსურად მოიცავდა პირის ქმედუნარიანობის ცნებას, პირის ქმედუნარიანობის პროცესს და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმსაზღვრელ რეგულაციებს.¹⁹

გადაწყვეტილებაში, სასამართლო დამოუკიდებლად განიხილავს ქმედუნარიანობის სისტემის ცალკეული შემადგენელი კომპონენტის კონსტიტუციურობას. კერძოდ, სასამართლო მსჯელობის მიზნებისათვის ერთმანეთისაგან აცალკევებს „ჭკუასუსტობისა“ და „სულით ავადმყოფობის“ საფუძვლით პირის ქმედუნარიანობის ცნობას, მკურნალობის დაწყებისა და შეწყვეტის ნებაყოფლობითობას, ექიმისა და სამკურნალო დაწესებულების არჩევის თავისუფლებას, პირის ქმედუნარიანობის აღდგენის პროცედურას და აფასებს თითოეულ მათგანს კონსტიტუციით დაცული ცალკეული უფლების შუქზე.

ქმედუნარიანობის მოდელის თითოეული ელემენტის განხილვისას, სასამართლომ დაადგინა მათი წინააღმდეგობა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან და გააუქმა ქმედუნარიანობის სისტემის ყველა კომპონენტი, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან. თუმცა, ქმედუნარიანობის სისტემის არაკონსტიტუციურად აღიარების მიღმა, ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა და ხედვა, რომელსაც დაეფუძნა, ერთი მხრივ, ქმედუნარიანობის მოდელის არაკონსტიტუციურობა და მეორე მხრივ, ქმედუნარიანობის ცნების შინაარსისა და ფარგლების ახლებურად განსაზღვრა.

გადაწყვეტილებაში, სასამართლო, სამწუხაროდ, არ მსჯელობს უფლებუნარიანობის, ქმედუნარიანობისა და კანონის წინაშე თანასწორობის ცნებებზე, არ განმარტავს მათ შინაარსს და ამ ცნებების ურთიერთმიმართებას. თუმცა, ცხადია, რომ სასამართლო ქმედუნარიანობის ცნებაში მოიაზრებს პირის უფლებას, ახორციელებდეს მის უფლებებს დამოუკიდებლად და მოქმედებდეს როგორც უფლებების მქონე სუბიექტი.

საკონსტიტუციო სასამართლო ქმედუნარიანობის ცნებას არ განიხილავს, როგორც აბსოლუტურ კატეგორიას და სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებიდან გამომდინარე, მის ძირითად შინაარსს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით აფასებს. განსხვავებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისაგან, რომელიც პირის ქმედუნარიანობას ადამიანისათვის თანდაყოლილ, უნივერსალურ კატეგორიად განიხილავს და მას ღირსების უფლებას უკავშირებს.²⁰

საკონსტიტუციო სასამართლო ქმედუნარიანობის მოდელის კონსტიტუციურობის შეფასებისას არ მსჯელობს ღირსების უფლებასთან კავშირში და მე-17 მუხლთან წინააღმდეგობას მხოლოდ ქმედუნარიანობის სისტემის იმ კომპონენტთან დაკავშირებით ადგენს, რომელიც ექიმს ანიჭებს უფლება-

19. შენიშვნა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-18, 36-ე და 42-ე მუხლებთან წინააღმდეგობრიობის საფუძვლით გააუქმა სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მუხლები და მუხლების ნორმატიული შინაარსები

20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.8

მოსილებას, ცალკეულ შემთხვევაში, შეზღუდოს სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის უფლებები, მათ შორის, უფლება დაცული იყოს არაპუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან. სასამართლო ხაზს უსვამს ღირსების უფლების უნივერსალურობას და განმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ყოველ ადამიანს იცავს ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობაში ჩარევის ისეთი მძიმე ფორმებისაგან: როგორებიცაა: წამება, არაადამიანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“, რასთან შეუსაბამოდაც განიხილავს ექიმის საგამონაკლისო უფლებას, შეზღუდოს პაციენტის უფლება პუმანურ მოპყრობაზე.²¹

სასამართლოს მსჯელობა, რომელიც ქმედუნარიანობის შინაარსს ღირსების უფლებით დაცულ სფეროში არ ხედავს, ასევე უკავშირდება ქმედუნარიანობის უფლების არააბსოლუტურობისა და მისი შეზღუდვის დაშვებას სასამართლოს მხრიდან, პირის ნების ჩანაცვლების შესაძლებლობას ლეგიტიმური საფუძვლების არსებობისას. სასამართლოს განმარტებით, „ქმედუნარიანობა არ არის აბსოლუტური კატეგორია. პირის ქმედუნაროდ ცნობა თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს, ვინაიდან, პირველ რიგში, მიმართულია ამ პირების კანონიერ უფლებების და ინტერესების დაცვისკენ. იმავდროულად, კოგნიტური უნარების შეზღუდვა, მათ შორის სერიოზულიც კი, არ შეიძლება წარმოადგენდეს პირის ქმედუნარიანობის სრულად შეზღუდვის თვითკმარ მიზეზს.“²²

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობიდან ჩანს, რომ ქმედუნარიანობის სისტემის გაუქმებისას, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მთავარი მოტივი უფლებაში ჩარევის ბლანკეტურობა და ავტომატურობაა. კერძოდ, საუბარია სამართლებრივ მოწესრიგებაზე, რომელიც იძლეოდა პირის უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას მხოლოდ სტატუსის საფუძველზე, მისი ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმების თითოეულ უფლებასთან კონსტიტუციურობის შემოწმების ეტაპზე, უფლების შეზღუდვის თანაზომიერების განსაზღვრისას, მსჯელობს უფლებაში ჩარევის ფორმაზე, ხასიათსა და ინტენსივობაზე.²³ შედეგად, სასამართლო გამოირიცხავს სამედიცინო ჩვენებას, როგორც ქმედუნარიანობის შეზღუდვის ერთადერთ და ავტომატურ საფუძველს. შესაბამისად, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ინდივიდუალური მიდგომის და პროპორციული საშუალებების გამოყენების პირობებში, პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვას. სასამართლოს განმარტებით: „ქმედუნაროდ აღიარების საკანონმდებლო რეგლამენტაცია უნდა გამოირჩეოდეს საკმარისი სიცხადით, რათა ზუსტად ასახავდეს პირის საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე მორგებული შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას ქმნიდეს. ამავე დროს, კანონი მკაფიო მითითებებს უნდა აძლევდეს ქმედუნაროდ აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე სუბიექტებს, იქნება ეს სასამართლო, ფსიქიატრიული დაწესებულება თუ სხვა, რათა ზუსტად იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რა ხარისხის გონებრივი შეფერხების არსებობისას უნდა მოხდეს პირის ქმედუნაროდ აღიარება და რა მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმები არ ახდენს უფლებაშემზღუდავი ეფექტის მინიმიზაციას, ადგენს ბლანკეტური ხასიათის შეზღუდვას და არ იძლევა ამა თუ იმ პირის ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინების შესაძლებლობას.“²⁴

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო უშვებს ქმედუნარიანობის სრულად შეზღუდვის შესაძლებლობას, რომელსაც, ერთი მხრივ, ფსიქიკური ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობით, ხოლო მეორე მხრივ, დინამიკურად განვითარებადი ავადმყოფობის შემთხვევაში, გამართლებულად მიიჩნევს: „ქმედუნარიანობის სრული შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებული იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე და გამოუსწორებელი პრობლემებით, მაგრამ პირისათვის ერთი შეზღუდული უნარის შესაძლო უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით, სხვა შეუზღუდავი უნარების რეალიზაციაში ხელშეშლა გაუმართლებელია და წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი გან-

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, პუნქტი 177

22. იქვე: პუნქტი 12

23. იქვე: პუნქტი 10

24. იქვე: პუნქტი 21

ვითარების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას.²⁵ ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლებაში ჩარევის ინტენსიური ფორმა შესაძლოა გამართლებული იყოს „სულიერი აშლილობისა და გონებრივი ჩამორჩენილობის დროს, როდესაც პირს ცხოვრების არცერთ სფეროში არ აქვს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი.“²⁶ „სასამართლო მიიჩნევს, რომ დინამიკურად განვითარებადი ავადმყოფობის შემთხვევაში, ქმედუნარიანობის სრული შეზღუდვა შესაძლებელია რთულად ან სრულად არაპროგნოზირებადი უარყოფითი შედეგების გამოიწვევას ისახავდეს მიზნად. ისეთ შემთხვევაში, როდესაც გონებრივი შესაძლებლობების შემზღუდველი დაავადება დინამიკურად მიმდინარეობს, მაღალი რისკის შემცველი გარიგებების დამოუკიდებელი დადების შეზღუდვა შეიძლება უფლებაში ჩარევის თანაზომიერ ღონისძიებად ჩაითვალოს.“²⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, მიუხედავად ქმედუნარიანობის სისტემის გაუქმებისა, რაც ბლანკეტურობის აკრძალვასა და ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების აუცილებლობას დაეფუძნა, სრულად ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის, მათ შორის, ქმედუნარიანობის გაგების თანამედროვე კონცეფციებსა და სტანდარტებს.

სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო თავისთავად შეზოჭილია სასარჩელო მოთხოვნით და ამოწმებს გასაჩივრებული ნორმების თავსებადობას კონსტიტუციით დაცულ უფლებებთან. ქმედუნარიანობის შინაარსის განსაზღვრისას, სასამართლოს მსჯელობაში არ შემოჰყავს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული ის ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და მათი განმარტებები, რაც ქმედუნარიანობის ცნების გაზრების მნიშვნელოვან და ყველაზე ავტორიტეტულ წყაროებს წარმოადგენს. ქმედუნარიანობის შინაარსის განსაზღვრისას, საკონსტიტუციო სასამართლო მოიხმობს ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, როგორცაა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები. თუმცა, თავის მხრივ, ამ დოკუმენტებმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სისტემებმა ამ დრომდე ვერ მოახერხეს იმ პარადიგმული ცვლილების სრულად ინკორპორირება, რასაც სახელმწიფოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია აკისრებს ქმედუნარიანობის აღიარების ნაწილში.²⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რიგი რეკომენდაციები აღიარებს თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლებას როგორც ადამიანის უფლებების გარანტირებისათვის მნიშვნელოვან კატეგორიას. თუმცა, ინდივიდუალური მიდგომისა და საჭიროების გათვალისწინებით, პროპორციულობისა და ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების პრინციპების მხედველობაში მიღებით, უშვებს მის შეზღუდვას, არაბლანკეტური გზითა და კანონით გათვალისწინებული წესით.²⁹ შესაბამისად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, რომლებიც თანაბარი სამართალსუბიექტობის საკითხს მიემართება, ქმედუნარიანობის შინაარსის განსაზღვრისას სათანადოდ არ ასახავს გაეროს კონვენციის მიერ აღიარებულ ხედვას.

ამდენად, დღემდე, ქმედუნარიანობის უფლების განმარტების მთავარ წყაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია წარმოადგენს, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს სამართალსუბიექტობის უფლებაში ჩარევას ნებისმიერი ფორმით.³⁰ საკონსტიტუციო სასამართლო, ქმედუნარიანობის განმარტებისას, მის მიერ განვითარებულ მსჯელობებში არ ეყრდნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა და გაეროს ფარგლებში მიღებულ საერ-

25. იქვე: პუნქტი 23

26. იქვე: პუნქტი 42

27. იქვე: პუნქტი 24, პუნქტი 34

28. Council of Europe, Commissioner for Human Rights (2012a), Who gets to decide? Right to legal capacity for persons with intellectual and psychosocial disabilities, CommDH/Issue Paper (2012)2, 20 February 2012; 4.2 The European Convention on Human Rights

29. “Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems”; European Union Agency for Fundamental Rights, 2013, <http://fra.europa.eu/sites/default/files/legal-capacity-intellectual-disabilities-mental-health-problems.pdf>; Pg. 20-29

30. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.9.პ.18

თაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აღიარებენ კანონის წინაშე ყველას თანასწორობას.

კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას იცნობს გაეროს სისტემის ფარგლებში მიღებული არაერთი ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი. მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 6) საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) (მუხლი 16) და კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) (მუხლი 15).

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება ასევე აღიარებულია არაერთ რეგიონულ სამართლებრივ სისტემაში.³¹ მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, მე-12 მუხლის განმარტებისას, მის ზოგად კომენტარში, უშუალოდ ეყრდნობა თითოეულ მათგანს, როგორც თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების განმამტკიცებელ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტებს, აუცილებელია გავიაზროთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს დასახელებულ საერთაშორისო აქტებში მოცემულ „კანონის წინაშე თანასწორობის უფლებისა“ და „ქმედუნარიანობის“ ცნებებს შორის.

არაერთი კვლევა უკავშირდება გაეროს ფარგლებში მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების“ შინაარსის განმარტებას. მთავარი შეკითხვა მიემართება აქტებით დაცული უფლების შინაარსის გაგებას. კერძოდ, რამდენად ფართოდ ხედავენ ეს დოკუმენტები კანონის წინაშე თანასწორობის შინაარსს და მოიცავენ თუ არა მის შემადგენელ ორივე კომპონენტს, რომელიც უფლების ფლობასა (უფლებაუნარიანობას) და უფლების მქონე სუბიექტის ქმედებას (ქმედუნარიანობა) გულისხმობს.

გაეროს ფარგლებში, შედარებით ადრე მიღებული დოკუმენტები, როგორცაა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ³² „კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას“ ვიწრო შინაარსით ხედავენ და მის ქვეშ მოიაზრებენ ადამიანის უფლებას ფლობდეს უფლებებს, (უფლებაუნარიანობა).³³

თუმცა, ცხადია რომ გაეროს ფარგლებში მოგვიანებით მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (ასევე კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ), რომელიც შეიქმნა ვინაიდან ადამიანის უფლებათა დაცვითი სხვა საერთაშორისო აქტები და მექანიზმები ვერ ახერხებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადო დაცვას,³⁴ თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების შინაარსის გაგებისას არ აცალკევებს უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებებს, აღიარებს მათ განუყოფელ მნიშვნელობას, დაუშვებლად მიიჩნევს მათ შეზღუდვას, რითაც განამტკიცებს ქმედუნარიანობის ცნების უნივერსალურობასა და ცხად კავშირს ადამიანის ღირსების უფლებასთან.

-
31. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის (ACHR), მუხლი 3; ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კონვენცია (ACHPR) მუხლი 5; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) პირდაპირ არ მოიცავს უფლებას თანაბარი სამართალსუბიექტობის შესახებ, თუმცა, ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრების მიხედვით, სამართალსუბიექტობის უფლება შეიძლება ამოკითხულ იქნეს კონვენციის სხვა უფლებების შინაარსიდან. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მის არაერთ გადაწყვეტილებაში კითხულობს ქმედუნარიანობის უფლების შინაარსი კონვენციით დაცული სხვა უფლებების ფარგლებში
 32. ღირსების უფლებასთან კავშირში ხედავენ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც მის ქვეშ პირის უფლებაუნარიანობას მოიაზრებს და დაუშვებლად მიიჩნევს მის შეზღუდვას საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაშიც კი
 33. Background conference document prepared by the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights , Legal capacity, pg. 20
 34. Council of Europe, Commissioner for Human Rights (2012a), Who gets to decide? Right to legal capacity for persons with intellectual and psychosocial disabilities, CommDH/Issue Paper (2012)2, 20 February 2012; 3.2 Equality in the disability context

6. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმირებადი მოდელი

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის გარდაქმნით გაჩნდა ახალი ხედვა კანონმდებლობაში, რომელმაც ადამიანის სამართალსუბიექტობის კონვენციისეულ პრინციპებზე დაფუძნებული კონცეფცია განავითარა. მოქმედი მოდელის დანერგვით გაუქმდა ქმედუნარიანობის, ანუ პირისათვის უფლებების და ვალდებულებების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც მხარდაჭერის მოდელმა ჩაანაცვლა.

რეფორმის შინაარსი და სულისკვეთება ითვალისწინებს კონვენციის უმთავრეს პრინციპს, რომელიც ნების ჩაანაცვლებისა და უფლებათა შეზღუდვის მოდელს მხარდაჭერის მექანიზმით ცვლის. თუმცა, რეფორმა ცალკეულ უფლებებთან მიმართებით, არ არის ამ იდეის თანმიმდევრული. კერძოდ, გარკვეულ უფლებებთან დაკავშირებით, მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი აცდენილია კონვენციის ფუნდამენტურ ხედვასა და თავად გატარებული რეფორმის ლოგიკას. შედეგად, საკანონმდებლო ცვლილებები ზოგ შემთხვევაში დაუსაბუთებლად ზღუდავს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებას ან მათ უფლების სათანადო რეალიზების მიღმა ტოვებს.

დღეს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს პირის უფლებაუნარიანობას, შეზღუდულქმედუნარიანობასა და ქმედუნარიანობას. კანონმდებლობა მათგან დამოუკიდებლად იცნობს მხარდაჭერის მიმღები პირის ცნებასაც და მას ქმედუნარიანობის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს. ეს უკანასკნელი გატარებული რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რაც მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აღიარების ყველაზე პროგრესულ მოდელთან აახლოებს.

კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა გულისხმობს პირის უფლებას, ჰქონდეს (ფლობდეს) სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები, რომელიც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება გარდაცვალებისთანავე.³⁵ კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს პირისათვის უფლებაუნარიანობის წართმევას, რამდენადაც იგი განუყოფელია ადამიანის პიროვნებისგან. პირის ადამიანად ყოფნა უკვე გულისხმობს მისი უფლებაუნარიანობის არსებობას, რამდენადაც უფლებაუნარიანობა ადამიანის ღირსების განუყოფელი ნაწილია.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირის ქმედუნარიანობა გულისხმობს ფიზიკური პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რომელიც წარმოიშობა პირის სრულწლოვანების მიღწევისთანავე.³⁶ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, 7 წლამდე ასაკის პირი ქმედუნარო პირად მიიჩნევა. ქმედუნარიანობა დაკავშირებულია უფლებების რეალიზების, მისი გამოყენების, მათი მეშვეობით მოქმედების შესაძლებლობასთან. ქმედუნარიანობის არსებობა წარმოადგენს ადამიანის შესაძლებლობას, სრულად იაზრებდეს კონკრეტული მოქმედებების სამართლებრივ მნიშვნელობას და შედეგებს. ქმედუნარიანობა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის შესაძლებლობაა, როდესაც პირი საკუთარი ნების შესაბამისად თავად განსაზღვრავს მისთვის სამართლებრივი შედეგების წარმომშობ ქმედებებს.

მოქმედი კანონმდებლობა, ასევე, იცნობს შეზღუდულქმედუნარიანი პირის ცნებას და ასეთად მიიჩნევს პირს, რომელიც ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების გამო, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახს და რომელსაც ამ გარემოებების გათვალისწინებით, ასეთად ცნობს სასამართლო კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო კოდექსი დამოუკიდებლად ითვალისწინებს მხარდაჭერის ინსტიტუტს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირი ქმედუნარიან პირად მიიჩნევა, როდესაც მას, საკუთარი ნების შესაბამისად, შეუძლია განახორციელოს სამართლებრივი შედეგების წარმომშობი უფლებები და ვალდებულებები. მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლება, სხვებთან თანაბარ პირობებში, მხარდაჭერითი მექანიზმის საშუალებით განახორციელონ უფლებები, გულისხმობს მხარდაჭერის მიმღებისათვის მხარდაჭერის დანიშნავს, რომელიც გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღ-

35. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 11

36. იქვე: მუხლი 12.1

ბად ახდენს მხარდაჭერის მიმღების ინფორმირებას, შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებით, მისთვის გასაგები ფორმით. მხარდაჭერის მიმღები ასევე შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პირი იმ ნაწილში, რომელშიც მას შესაბამისი მხარდაჭერა სჭირდება.³⁷

ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმა არ შეხებია უფლებაუნარიანის, შეზღუდულქმედუნარიანობისა და ასაკის გამო ქმედუნარიანობის საკითხებს. რეფორმამ გააუქმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირის ქმედუნარიანობის შესაძლებლობა და ისინი სრულად ქმედუნარიანად აღიარა. ეს გულისხმობს იმას, რომ მხარდაჭერის მიმღებს სრულად შეუძლია იტვირთოს სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება.³⁸

მოქმედი მოდელის მიდგომა, აღიარებს რა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულ ქმედუნარიანობას და შემოაქვს ნების დამოუკიდებლად განხორციელების კომპონენტი, უმეტესწილად, ეფუძნება კონვენციის ხედვას. ამასთან, სასამართლოში პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი მოქმედი რედაქციით უფრო მეტად მონაწილეობით გახდა და მოიცავს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის უშუალო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიებს. თუმცა, როგორც მხარდაჭერის ინსტიტუტის ახალი ხედვა, ასევე პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურა არაერთ ნაწილში ხარვეზული და წინაარმდეგობრივია ზემოთ აღწერილ მიდგომასთან, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

მხარდაჭერის ახალი მოდელის მოქმედება პირდაპირ არ შეეხო რეფორმამდე ქმედუნარიანად აღიარებულ პირთა წრეს და მათი უფლებრივი საკითხები განსხვავებულად მოწესრიგდა გარდამავალი პერიოდისათვის ანუ იმ მომენტამდე, ვიდრე მოხდება მათი ინდივიდუალური შეფასება და მხარდაჭერის მიმღებ პირებად ცნობა, ასეთი საჭიროების შემთხვევაში. შედეგად, გარდამავალ პერიოდში, ქმედუნარიანად აღიარებული პირები ითვლებიან ქმედუნარიანებად, მათ ინდივიდუალურ შეფასებამდე.³⁹ თუმცა, გარდამავალ პერიოდში ქმედუნარიანად აღიარებულ პირებს, მიუხედავად მათი ქმედუნარიანობისა, აქვთ უფლებამოსილება მიმართონ სასამართლოს ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის, ქმედუნარიანობის სტატუსის ცვლილებისა და ინდივიდუალური შეფასების მოთხოვნის მიზნით.⁴⁰

ქმედუნარიანობის რეფორმა არსებითად ცვლის ქმედუნარიანობის გააზრებას, ეფუძნება პირის ნების ავტონომიასა და მის მნიშვნელობას, რაც უდავოდ პოზიტიური ცვლილებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით. თუმცა, კანონმდებლობა ცალკეულ უფლებებთან მიმართებით ბოლომდე არ იზიარებს ამ მოდელის ძირითად კომპონენტებს და სხვადასხვა უფლების რეგულირებისას, მათ შორის, საარჩევნო უფლების, შრომის უფლების და სხვა, ითვალისწინებს უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის მექანიზმებს ან ქმნის ამგვარ საფრთხეებს.⁴¹ კანონმდებლობა ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, ითვალისწინებს ნების ჩანაცვლების შესაძლებლობას ისეთ პირობებში, როდესაც პირის ნების გამოვლენა 1 თვეზე მეტი ხნის მანძილზე ობიექტურად შეუძლებელია და სასამართლო ნებას დართავს მხარდაჭერას, მხარდაჭერის მიმღები პირის ნაცვლად, ნების გამოხატვაზე.⁴² მიუხედავად ამ მიდგომის საგამონაკლისო ხასიათისა,

37. იქვე: მუხლი 12.5

38. იქვე: მუხლი 12.4. „მხარდაჭერის მიმღები პირი არის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი მყარი ფსიქიკური, გონებრივი ინტელექტუალური დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს სრულწლოვანი პირი სამოქალაქო კანონმდებლობის მიზნებისათვის და დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში“

39. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 451.1

40. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 451.3; ვრცლად იხილეთ ქვეთავი: მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება

41. დაწვრილებით იხილეთ შემდგომ თავებში

42. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1293.4

ის წინააღმდეგობაშია კონვენციის სტანდარტებთან, რომელიც ექსტრემალურ შემთხვევაშიც კი, გამორიცხავს ნების ჩანაცვლებითი მექანიზმის დაშვებას.⁴³

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯია კონვენციის მე-12 მუხლის იმპლემენტაციის პროცესში, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ სრულფასოვან რეფორმად, მისი დანერგვის არაერთი პრაქტიკული სირთულიდან გამომდინარე, რაც სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ძალისხმევას გაწევის საჭიროებას აჩვენებს. მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლებების სათანადო დაცვისა და რეალიზების გარანტირებისათვის, დღის წესრიგში დგას სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ნორმატიული შინაარსის ბარიერების აღმოფხვრის, ისე სათანადო ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რაც რეალურად შესაძლებელს გახდის მხარდაჭერის სრულფასოვანი სისტემის დანერგვასა და აღსრულებას.

43. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.42

7. მხარდაჭერის მიღების წესი და პროცედურა

7.1. ცნებები

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მხარდაჭერის მიმღები არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ამასთან, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად უნდა ართულდეს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. მხარდაჭერის მიმღები პირი ქმედუნარიანია.⁴⁴ მხარდაჭერის მიმღებად ასევე შეიძლება მიჩნეული იყოს არასრულწლოვანი.⁴⁵ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემდეგ, მას ენიშნება მხარდამჭერი.⁴⁶ მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. მხარდამჭერად პირი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე. მხარდამჭერის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების უნარს, მხარდამჭერსა და მხარდამჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში, ასევე მისი მშობლის მითითებას.⁴⁷

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ ვერ მოახერხა მხარდამჭერის დანიშვნა პირის ოჯახის წევრის, ნათესავის, ახლობელის ან სპეციალისტისა და ნათესავის, იგი მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო თუ პირი სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებული - დაწესებულების წარმომადგენელს.⁴⁸

7.2. მხარდაჭერის შინაარსი და ფარგლები

კანონმდებლობის მიხედვით, მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები დამოუკიდებლად, ხოლო იმ სფეროში, სადაც დანიშნული ჰყავს მხარდამჭერი - შესაბამისი მხარდაჭერის განხორციელების მეშვეობით.

პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო განსაზღვრავს ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.⁴⁹

მხარდამჭერი ვალდებულია, თვალყურს ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში. მხარდამჭერი ასევე ვალდებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღე-

44. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12.4

45. იქვე: მუხლი 12.5

46. იქვე: მუხლი 1277¹

47. იქვე: მუხლი 1280. 1-4

48. იქვე: მუხლი 1280.5

49. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363¹⁵

მატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი ასევე უთითებს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.⁵⁰

თუ მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირს, სასამართლოში საქმისწარმოების დასრულებამდე, შეუქცევადი ზიანის მიყენების საფრთხე ემუქრება, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მისი ინდივიდუალური შეფასების მიზნით დაწყებული სასამართლო პროცესის დასრულებამდე შესაძლოა პირს დაენიშნოს დროებითი მხარდამჭერი. დროებით მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი, ან სპეციალისტი.⁵¹

ამასთან, გამონაკლის შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენა 1 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მხარდაჭერის მიმღებს, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს, მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები.⁵²

7.3. მხარდაჭერის მიღების მიზნით სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის პროცედურა

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება სასამართლოში შეიძლება შეიტანოს ამ პირმა, მისი ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება სასამართლოში შედის ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იგი სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული – სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.⁵³

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია იმ სფეროების შესახებ, რომელშიც პირს მხარდაჭერა ესაჭიროება, პირის მხარდაჭერის საჭიროება, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, ასევე ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც განმცხადებელი ამყარებს თავის მოთხოვნას, თავად მოთხოვნა და შუამდგომლობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.⁵⁴ განცხადების ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, სასამართლო ხარვეზს უდგენს განმცხადებელს.⁵⁵

7.4. მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის თაობაზე სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურა

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმე განხილვება თავად პირის, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. თუ მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ ესწრება სხდომას, მისი მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით, რომლითაც მოსამართლე შეიძლება მასთან პირდაპირ კონტაქტს. დაუშვებელია საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება.⁵⁶

განმცხადებელი თავისუფლდება ნებისმიერი ხარჯისგან, რომელიც საქმისწარმოებას შეიძლება ახლდეს და იგი უზრუნველყოფილია სავალდებულო დაცვით.⁵⁷

50. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1289

51. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363¹⁷

52. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1293.4

53. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363¹⁴

54. იქვე: მუხლი 363¹⁵

55. იქვე: მუხლი 363¹⁶

56. იქვე: მუხლი 363¹⁸

57. იქვე: მუხლი 363¹⁹

კანონმდებლობა ადგენს სასამართლო სხდომაზე ყველა ექსპერტისა და მულტიდისციპლინური ჯგუფის ყველა წევრის დაკითხვის ვალდებულებასაც.⁵⁸

7.5. ექსპერტიზა მხარდაჭერის საჭიროებისა და ფარგლების განსაზღვრის თაობაზე

სასამართლო, საქმის განხილვის ეტაპზე, ნიშნავს ექსპერტიზას, რომელში მონაწილეობაც დამოკიდებულია მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ნებაზე. კანონით გათვალისწინებულია პირის ექსპერტიზაზე იძულებით გაგზავნის შემთხვევა, თუ პირი, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, თავისი ქმედებით არსებით ზიანს აყენებს საკუთარ ან სხვათა უფლებებს.

მოქმედი კანონმდებლობა ადგენს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ექსპერტიზის ჩატარების წესს, მიზანსა და საფუძვლებს. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზა მოიცავს პირის სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციისა და სხვა ასპექტების შეფასებას, რის შემდგომაც ექსპერტიზა ადგენს პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხს, აფასებს მის სოციალურ ადაპტაციას და აქედან გამომდინარე, განსაზღვრავს მხარდაჭერის თავისებურებებს.⁵⁹

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზას ატარებს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.⁶⁰ საექსპერტო დასკვნაზე გადაწყვეტილებას იღებს 4 ექსპერტისგან შემდგარი მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელშიც შედის ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი და ოკუპაციური თერაპევტი.⁶¹ ექსპერტიზის შედეგად, ჯგუფი იღებს დადებით ან უარყოფით დასკვნას.

მულტიდისციპლინური ჯგუფის თითოეულმა წევრმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს სასამართლოს მოთხოვნით განსაზღვრულ სფეროში, პირის მიერ გადაწყვეტილების მხარდაჭერის გარეშე მიღების შესაძლებლობა.⁶²

თუ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლია ბიუროში გამოცხადება, იგი სტაციონარში ან საცხოვრებელ ადგილას შემოწმდება.⁶³ ამასთან, კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ დიაგნოზის საფუძველზე დადებითი დასკვნის გაცემას. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრი მას თან ურთავს საექსპერტო დასკვნას.⁶⁴

7.6. სასამართლო გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე

გადაწყვეტილებას პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე იღებს სასამართლო. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, სასამართლო განსაზღვრავს უფლებ(ებ)ას, რომლით სარგებლობისასაც პირს უწესდება მხარდაჭერა. გადაწყვეტილებით ასევე განისაზღვრება მხარდაჭერის ფარგლები, მხარდამჭერის/მხარდამჭერების უფლებები და მოვალეობები, მხარდამჭერთა ანგარიშგების პერიოდი, მხარდაჭერის ვადა და მისი გადასინჯვის პერიოდულობა. ასევე, სხვა აუცილებელი გარემოებები.⁶⁵

58. იქვე: მუხლი 363²⁰

59. საქართველოს კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, მუხლი 4

60. იქვე: მუხლი 3.გ

61. იქვე: მუხლი 7

62. იქვე: მუხლი 10

63. იქვე: მუხლი 12

64. იქვე: მუხლი 13.9

65. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363²¹

კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხარდაჭერის ფარგლების შეცვლისა და მხარდაჭერის გაუქმების წესი. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სასამართლოს მხარდაჭერის მიმღების, მისი ოჯახის წევრის, მხარდამჭერ(ებ)ის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე, შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მიხედვით, შეუძლია შეცვალოს მხარდაჭერის ფარგლები.⁶⁶

7.7. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობა

მხარდამჭერთა საქმიანობაზე ზედამხედველობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის ფორმებია გვე-მიური შემოწმება და ფაქტობრივი ზედამხედველობა. ზედამხედველობის მიზანია, მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით, მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.⁶⁷

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდამჭერების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს შემდეგი პერიოდულობით: 6 თვეში ერთხელ; სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით; ასევე, შემცვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ.⁶⁸

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ასევე ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ინიციატივით, განახორციელოს მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობა.⁶⁹ ორგანო, ზედამხედველობის განხორციელების შემდგომ, იღებს დადებით ან უარყოფით დასკვნას.

თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მხარდამჭერი არ ასრულებს/არა-ჯეროვნად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს მხარდაჭერის მიმღების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მას უარყოფითი დასკვნა გამოაქვს. უარყოფითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: მხარდამჭერის გაძლიერება, რათა დაეხმაროს მას მისი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებაში; მხარდამჭერის გათავისუფლება მოვალეობის შესრულებისგან; ხოლო, სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ინტენსივობის შემთხვევაში, მიმართვა სასამართლოს შესაბამისი რეაგირებისათვის.⁷⁰

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონით ეკისრება მხარდამჭერთა დახმარებისა და გაძლიერების ვალდებულება, რაც გულისხმობს მხარდამჭერთა ხელშეწყობას მათი ვალდებულებების განხორციელებაში.⁷¹

7.8. ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში

სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ცვლილებების შედეგად, კანონთა გარდამავალ დებულებებში განისაზღვრა ქმედუუნაროდ აღიარებული პირების სამართლებრივი სტატუსი გარდამავალ პერიოდში, მათი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის წესი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულებები და სხვა.

66. იქვე: მუხლი 363²²

67. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1305²

68. იქვე: მუხლი 1305²

69. იქვე: მუხლი 1305³

70. იქვე: მუხლი 1305⁵

71. იქვე: მუხლი 1278.3

2015 წლის 1 აპრილამდე, სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ცნობილი პირის მეურვე ვალდებულება სამეურვეო პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მისი ინდივიდუალური შეფასებისათვის, 2015 წლის 1 აპრილიდან 4 წლის განმავლობაში, მიმართოს სასამართლოს. თუ პირი მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ეს დაწესებულება ვალდებულია, სამეურვეო პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მისი ინდივიდუალური შეფასებისათვის, 2015 წლის 1 აპრილიდან 2 წლის განმავლობაში, მიმართოს სასამართლოს. ხოლო სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებული პირის შემთხვევაში, ეს დაწესებულება ვალდებულია, მიმართვა 4 წლის განმავლობაში გააკეთოს.⁷²

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუწუნაროდ აღიარებული პირი, მის ინდივიდუალურ შეფასებამდე, მიიჩნევა ქმედუწუნარო პირად და მის მიერ გამოვლენილი ნება ბათილია. თუმცა, ამავდროულად, კანონმდებლობამ ქმედუწუნაროდ აღიარებული პირების მიმართ სხვადასხვა უფლებისა და მოვალეობის განხორციელებისას გარდამავალ პერიოდში, დაადგინა სპეციალური რეჟიმი და ცალკეული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა მათ ინდივიდუალურ შეფასებას და დამცავი მექანიზმების შემოტანას დაუკავშირა. ეს წესი შეეხება ქმედუწუნარო პირების მიმართ არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის მოქმედების დაწყების მომენტს, სამოქალაქო ზიანის (დელიქტის) მოთხოვნის უფლების წარმოშობის საკითხს, მემკვიდრეობის მიღებასა და მასზე უარის თქმასა და სხვა საკითხებს.⁷³

გარდამავალ პერიოდში, 2016 წლის 1 აპრილამდე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულებად განისაზღვრა ქმედუწუნაროდ ცნობილი პირების მონაცემთა ბაზის განახლება და ქმედუწუნაროდ აღიარებული პირების მეურვეების ინფორმირება ქმედუწუნაროდ აღიარებული პირების ინდივიდუალური შეფასების მიზნით, სასამართლოსათვის მიმართვის ვალდებულების თაობაზე. ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო განისაზღვრა უფლებამოსილ სუბიექტად, 2017 წლის 1 აპრილიდან 2 წლის განმავლობაში, მიმართოს სასამართლოს სტაციონარში მოთავსებული ქმედუწუნარო პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მისი ინდივიდუალური შეფასებისათვის, აგრეთვე, 2019 წლის 1 აპრილიდან 1 წლის განმავლობაში, მიმართოს სასამართლოს იმ ქმედუწუნარო პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მისი ინდივიდუალური შეფასებისათვის, რომელიც სტაციონარში არ არის მოთავსებული, თუ მეურვე, თავად ქმედუწუნარო პირი ან შესაბამისი დაწესებულება არ მიმართავს სასამართლოს.⁷⁴

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, გარდამავალ პერიოდში 2015 წლის 1 აპრილამდე, სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ცნობილ პირს მის ინდივიდუალურ შეფასებამდე არ ეზღუდება სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.⁷⁵ თუმცა, ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩაიწერა ნორმა, რომელიც თავის შინაარსით გამოირიცხავს ამგვარი უფლების რეალიზების შესაძლებლობას. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, თუ სარჩელი შეიტანა ქმედუწუნაროდ აღიარებულმა იმ პირმა, რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, ეს გარემოება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.⁷⁶

72. იქვე: მუხლი 1508¹

73. იქვე: მუხლი 1508²

74. იქვე: მუხლი 1508³

75. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 451.1

76. იქვე: მუხლი 451.3; ვრცლად იხილეთ ქვეთავი: მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება

8. ქმედუნარიანობის სისტემის ახალი მოდელის მიმართება ცალკეულ უფლებებთან

8.1. შრომის უფლება

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი კანონმდებლობით, ქმედუნაროდ აღიარებული პირებისათვის აკრძალული იყო ნებისმიერი, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების დადება, რაც გამოირიცხავდა პირის შრომით ურთიერთობაში შესვლას. საჯარო სამსახურში დასაქმების მარეგულირებელი ნორმები ქმედუნაროდ აღიარებული პირების დასაქმების პირდაპირ აკრძალვას ადგენდა, ვინაიდან დასაქმების წინაპირობად განიხილავდა ქმედუნარიანობას. შესაბამისად, ცვლილებამდელი მოდელი, სხვა უფლებების მსგავსად, უხეშად და ბლანკეტურად გამოირიცხავდა ქმედუნარო პირების მიერ შრომითი უფლებით სარგებლობას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

ქმედუნარიანობის ახალი ინსტიტუტი, რომელიც ყველა პირს ქმედუნარიანად მიიჩნევს და მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრისას, ადგენს ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების სავალდებულობას, შრომის უფლებით სარგებლობის ნაწილში განსხვავებულად აწესრიგებს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებრივ მდგომარეობას.

ახალი რეგულაციის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმების ხელისშემშლელ გარემოებას და მეორე მხრივ, საჯარო მოხელეების, მათ შორის, ცალკეული პოლიტიკური თანამდებობის პირების, საქმიანობის შეწყვეტის უპირობო და სავალდებულო საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად მოაწესრიგა. საჯარო სფეროში დასაქმების მარეგულირებელი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მხარდაჭერის მიმღები პირების კერძო სექტორში დასაქმებისათვის მსგავსი ბარიერები არ არის დადგენილი. ამ მხრივ, კანონის ენა ნეიტრალურია და შრომითი ურთიერთობის არცერთ ეტაპზე პოტენციური თუ დასაქმებული მხარდაჭერის მიმღები პირის მიმართ დამატებით მოთხოვნებსა და შეზღუდვებს არ ადგენს. შრომის ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის, მისი ნამდვილობის საკითხებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

დღეს მოქმედი მოდელით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება სასამართლოს მიერ მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.⁷⁷ ამას გარდა, კანონი გამოყოფს პირის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო და არასავალდებულო საფუძველებს⁷⁸ და პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძველედ მიიჩნევს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.⁷⁹

მოქმედი კანონმდებლობით, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა ასევე იწვევს პოლიტიკური თანამდებობის პირების, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების (საკრებულოს წევრი, გამგებელი/მერი), სახალხო დამცველის, ბიზნესომბუდსმენის, საერთო სასამართლოებში დასაქმებული პირების (მოსამართლეები, სასამართლოს თავმჯდომარეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი) და სხვა საჯარო თუ პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშნულთა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეწყვეტას, გარდა სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევისა.⁸⁰ ანალოგი-

77. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 27.2.ე

78. იქვე: მუხლი 107-108

79. იქვე: მუხლი 107.1.გ

80. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 34.1.გ. 56.2.ე. პატიმრობის კოდექსი, მუხლი 41.2.ბ. სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 10.1.დ. საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 43.1.დ. მუხლი 48.1.გ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხლი 30.3.დ. ნოტარიატის შესახებ, მუხლი 18.2.გ. პროკურატურის შესახებ, მუხლი 33, უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 19.2.დ. მუხლი 41.დ. ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 40.1.ი

ურად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ დაფუნდებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული თანამდებობიდან პირის ვადამდე გათავისუფლების საკითხი.⁸¹

ქმედუნარიანობის მოქმედი მოდელი, შრომის უფლების რეალიზების ნაწილში, უარს ამბობს იმ ზოგად მიდგომაზე, რომლის მიხედვითაც, პირს მხარდაჭერა მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში დგინდება და ინდივიდუალური შეფასების გარეშე, აღნიშნული სტატუსი არ შეიძლება ავტომატურად გავრცელდეს სხვა სფეროებზე. კერძოდ, კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირის დასაქმებას ან საქმიანობის გაგრძელებას ბლანკეტურად მიემართება და მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსს ამგვარი ურთიერთობის შეწყვეტისათვის საკმარის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევს, იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს არ უმსჯელია შრომის უფლების რეალიზების სფეროში მხარდაჭერის საჭიროებაზე და პირი მხარდაჭერის მიმღებად სხვა სფეროებში მიიჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მსჯელობს ინდივიდუალური შეფასების გამო-რიცხვისა და უფლებათა ბლანკეტური შეზღუდვის პრობლემურობაზე და დაუშვებლად მიიჩნევს, უფლების შეზღუდვას მხოლოდ პირის სტატუსის საფუძველზე. სასამართლოს შეფასებით, ამგვარი ჩარევა არჩევნებს პირის პიროვნულ ავტონომიაში იმაზე მაღალი ხარისხითა და ინტენსივობით შეზღუდვის ხარისხს, რაც მათი უფლებების დაცვისათვის არის აუცილებელი. სასამართლოს მსჯელობით, თუ პირებს ყოველ კონკრეტულ სფეროში შენარჩუნებული აქვთ გადაწყვეტილების მიღების უნარი, მათ მიმართ უნდა გამოიყენებოდეს უფლების ნაკლები ინტენსივობით შეზღუდვის მექანიზმი,⁸² რაც გაუმართლებლად მიიჩნევს პირის უფლების შეზღუდვას მისი ინდივიდუალური შეფასების გარეშე.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია შრომის უფლების აღიარებით ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში დასაქმებას, დისკრიმინაციის გარეშე, სხვებთან თანასწორ პირობებში. ეს კი, თავის მხრივ, მოიცავს როგორც დასაქმებისათვის ხელისშემშლელი საკანონმდებლო ბარიერების გამორიცხვას, ასევე სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას.⁸³

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტმა მის მოსაზრებებში ქმედუნარიანობის მოდელის ცვლილების პერსპექტივასთან კავშირში, არაერთხელ გაუსვა ხაზი განსაკუთრებულად რამდენიმე უფლების, მათ შორის, შრომის უფლების აღიარების და დაცვის მნიშვნელობას. კომიტეტის ამ მიდგომას არჩევნებს მის მიერ დანიის⁸⁴, შვედეთის,⁸⁵ ავსტრიის,⁸⁶ უნგრეთის⁸⁷ და სხვა წევრი ქვეყნების მიმართ სახელმწიფო ანგარიშებთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნითი მოსაზრებები, რომელშიც მოუწოდებს დასახელებულ სახელმწიფოებს, თანაბარი სამართალსუბიექტობის აღიარება დააფუძნონ პირის უფლების, ნებისა და სურვილების პრიმატს და დაიცვან ყველა ადამიანის, მათ შორის, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლება შრომისა და დასაქმებაზე.

81. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, მუხლი 19.დ , მუხლი 41.დ

82. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532.533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; პუნქტი 30, პუნქტი 40-42

83. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24

84. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Denmark; 30 October, 2014; pr.33 http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2fDNK%2fCO%2f1&Lang=en;

85. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Sweden; 12 May 2014; pr.34 http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2fSWE%2fCO%2f1&Lang=en;

86. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Austria, adopted by the Committee at its tenth session (2–13 September 2013); 30 September, 2013; pr.28 http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2fAUT%2fCO%2f1&Lang=en;

87. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial periodic report of Hungary, adopted by the Committee at its eighth session (17-28 September 2012); 22 October 2012; pr.26 [file:///C:/Users/hp/Downloads/G1246800%20\(1\).pdf](file:///C:/Users/hp/Downloads/G1246800%20(1).pdf);

ნათელია, რომ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდის თანასწორუფლებიანობის კონვენციისეულ გაგებასთან, რამდენადაც დაუსაბუთებელ ბარიერს ადგენს საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისა და პოტენციური დასაქმებულებისათვის. კერძოდ, ჩანაწერის ბლანკეტურობა უშვებს პირის უფლების შეზღუდვას მისი ინდივიდუალური შეფასების გარეშე და მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის ფაქტს დასაქმებაზე უარის თქმის/შეწყვეტის პირდაპირ საფუძვლად განიხილავს. ამასთან, გაუგებარია კანონმდებლობის მიდგომა და ის ლეგიტიმური საჯარო ინტერესი, რაც უფლების შეზღუდვას გამართლებულად მხოლოდ საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებთან მიმართებით განიხილავს და დასაქმებაზე უარის თქმის ამგვარი მექანიზმებით არ აღჭურავს კერძო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს.

კონვენციასთან არათავებადობის გარდა, რეგულაციის შემზღუდავი ბუნება წინააღმდეგობაში მოდის შიდა კანონმდებლობაში მოცემულ ქმედუნარიანობის ახალ შინაარსთანაც. კერძოდ, საკანონმდებლო რეგულაცია საჯარო სექტორში დასაქმებას მხოლოდ სასამართლოს მიერ შრომის უფლების რეალიზებაზე დადებითი შეფასების გაცემას უკავშირებს. მაშინ, როდესაც პირისათვის მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრისას, საერთო სასამართლოებს არ აქვთ უფლებამოსილება, დაუშვან ან შეზღუდონ კონკრეტული პირის მიერ შრომის უფლებით სარგებლობა. არსებულ მოდელში, სასამართლოს შეფასების არეალი მხოლოდ მხარდაჭერის საჭიროებისა და მისი საზღვრების დადგენით შემოიფარგლება, რაც გამორიცხავს სასამართლოს მიერ შრომის უფლების რეალიზების დამშვებით თუ ამკრძალავი გადაწყვეტილების მიღებას (გარდა უკიდურესად საგამონაკლისო შემთხვევებისა).⁸⁸

შესაბამისად, ქმედუნარიანობის ახალი მოდელის შინაარსის გათვალისწინებით, შრომის კანონმდებლობა არ უნდა შეიცავდეს ჩანაწერებს, რომელიც პირის მხარდაჭერად ცნობას მის დასაქმებას დაუკავშირებს. ნაცვლად ამისა, კანონმდებლობა როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, შესაძლებელია ითვალისწინებდეს ჩანაწერებს, რაც მისცემდა დამსაქმებელს შესაძლებლობას, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, მოახდინოს მისი სამუშაო აღწერილობისა და სამუშაო გარემო-პირობების ადაპტირება, პირისათვის დანიშნული მხარდაჭერის ფარგლების, ფორმებისა და ინტენსივობის გათვალისწინებით.

8.2. საარჩევნო უფლებები

ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმირებამდე მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავდა ქმედუნარიანობის მხრიდან აქტიური თუ პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობას, რაც პირდაპირ ქმედუნარიანობის სტატუსს უკავშირდებოდა და საარჩევნო უფლების ბლანკეტურ შეზღუდვას წარმოადგენდა.

სისტემის გარდაქმნის შედეგად, შეიცვალა მიდგომა საარჩევნო უფლების რეალიზების თვალსაზრისით, რამდენადაც გაუქმდა არჩევნებში მონაწილეობის სტატუსზე დაფუძნებული შეზღუდვა. თუმცა, ამგვარი რეგრესული ჩანაწერი შენარჩუნდა სტაციონალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფი, მკურნალობას დაქვემდებარებული, მხარდაჭერის მიმღები პირების მიმართ.

კერძოდ, დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი პოლიტიკურ პროცესებში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლენიტის გზით მონაწილეობას უზღუდავს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტაციონალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ, მკურნალობას დაქვემდებარებულ მხარდაჭერის მიმღებ პირებს.⁸⁹ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონი, თავის მხრივ, აღიარებს ყველა პაციენტის⁹⁰ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.⁹¹ შესაბამისად, სტაციონალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული ყველა პირი სარგებ-

88. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1293.4

89. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3.ა.ა.გ)

90. პაციენტი - ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი, რომელიც სარგებლობს ფსიქიატრიული დახმარებით; საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“; მუხლი.4 ბ)

91. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“; მუხლი 5.1.თ

ლობს საარჩევნო უფლებით, გარდა დაწესებულებებში მოთავსებული იმ პირებისა, რომლებიც სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არიან მიჩნეულნი.

გარდა ამისა, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც პირისადმი მხარდაჭერის საჭიროების დადგენისას მისი სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას უშვებს და ზღუდავს დასაქმებას საჯარო სამსახურში, ასევე წარმოადგენს პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების შემზღუდავ ნორმას.⁹²

პოლიტიკურ პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაუბრკოლებელი მონაწილეობის უფლებას ითვალისწინებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომელიც პირთა თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების აღიარებით სახელმწიფოებს აკისრებს ყველასთვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნის ვალდებულებას.⁹³ მიუხედავად გაეროს კონვენციის ცალსახა მიდგომისა, საარჩევნო უფლების შეზღუდავას პირის ქმედუნარიანობიდან გამომდინარე, დღემდე იცნობს ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა.⁹⁴ თუმცა, უკანასკნელი წლებია, არაერთმა ქვეყანამ თანმიმდევრულად გააუქმა საარჩევნო უფლების შემზღუდავი ნორმები და ყველა პირს მისცა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს, ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, საარჩევნო უფლების რეალიზების საკითხებს. კონვენციის წევრი ქვეყნების მიერ ამგვარი არჩევანის გაკეთება, უმეტესწილად, უკავშირდება მათ მიერ ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეგულირების მოქმედ მოდელს ან მისი გადახედვის პროცესს. არსებობს სამი ძირითადი მიდგომა: პირველი მათგანი გულისხმობს პოლიტიკური მონაწილეობის სრულ და ბლანკეტურ აკრძალვას; მეორე მიდგომა მოიცავს პოლიტიკური მონაწილეობის ნაწილობრივ შეზღუდავას, რაც გულისხმობს პირის ინდივიდუალურ შეფასებას და ამის საფუძველზე, გარკვეული შეზღუდვის დაწესებას; ხოლო მესამე მიდგომა უშვებს პოლიტიკური მონაწილეობის უფლების სრულფასოვან რეალიზებას, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების გზით. ამ უკანასკნელის მაგალითებია ავსტრია, ფინეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, საფრანგეთი და იტალია. დასახელებული ქვეყნების ნაწილი კონსტიტუციურ დონეზე განამტკიცებს ყველა პირისათვის სრული პოლიტიკური მონაწილეობის უფლებას.⁹⁵

გაეროს კომიტეტის ხედვა, საარჩევნო უფლების რეალიზების ნაწილში, სრულიად ცხადია და ის პირდაპირ გამორიცხავს ამ ნიშნით ნებისმიერი შეზღუდვის დადგენას. გაეროს კომიტეტისაგან განსხვავებით, აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის დამუშავებული სხვადასხვა საერთაშორისო აქტის შუქზე. თუმცა, ამ აზრით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Alajos Kiss v. Hungary*. აღნიშნულ საქმეში, მოსარჩელეს წარმოადგენდა ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობა ავტომატურად უზღუდავდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, მისი ფსიქო-სოციალური საჭიროების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის #1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (საარჩევნო უფლება) დარღვევა, რამდენადაც არაპროპორციულად მიიჩნია გარკვეულ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების მიმართ, ცალკეულ სფეროებში ქმედუნარიანობის განხორციელებაზე დადგენილი ბლანკეტური შეზღუდავა, რაც მათი ნაწილობრივი ქმედუნარიანობიდან გამომდინარეობდა. ბლანკეტური შეზღუდვის არაპროპორციულობასთან ერთად, სასამართლო უთითებს: „[ის] ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ხმის მიცემის უფლების აბსოლუტური აკრძალვა, მისი არსებული უნარების გათვალისწინების

92. ვრცლად იხილეთ ქვეთავი: შრომის უფლება

93. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 29

94. „The right to political participation of persons with mental health problems and persons with intellectual disabilities” pg.15 October 2010; http://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1216-Report-vote-disability_EN.pdf

95. „The right to political participation of persons with mental health problems and persons with intellectual disabilities” pg.15-20; October 2010; http://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1216-Report-vote-disability_EN.pdf

გარეშე, სახელმწიფოს დასაშვები შეფასების ზღვარში ექცევა. იმ შემთხვევაში, როდესაც ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა მიემართება განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს, რომელიც წარსულში მუდმივად ექვემდებარებოდა დისკრიმინაციას და როგორადაც უნდა მივიჩნიოთ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირები, სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებულად ვიწრო შეფასების ზღვარი და ამასთან, უნდა არსებობდეს ძალიან საფუძვლიანი მიზეზები ამგვარი შეზღუდვების დადგენისათვის.⁹⁶

იმ წევრ სახელმწიფოებს, რომელთა საარჩევნო კანონმდებლობა უშვებს ქმედუნარიანობიდან გამომდინარე შეზღუდვებს ან ქმედუნარო პირთა გამორიცხვას საარჩევნო პროცესებიდან თუ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებიდან, კომიტეტი პირდაპირ მოუწოდებს გაეროს კონვენციის ხედვის გაზიარებას, რაც სრული პოლიტიკური მონაწილეობის უფლების დაშვებას გულისხმობს. კომიტეტმა არაერთი ქვეყნის, მათ შორის, დანიისა⁹⁷ და ჩეხეთის⁹⁸ მიმართ გაცემულ, შემაჯამებელ მოსაზრებებში ნათლად ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია საარჩევნო უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და დასახელებულ ქვეყნებს მოუწოდა შეცვალონ მოქმედი კანონმდებლობა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირებმა ისარგებლოს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით, მიუხედავად მეურვეობის სისტემის თუ ნებისმიერი სხვა მოდელის არსებობისა.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც გადიან მკურნალობას სტაციონალურ დაწესებულებებში, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული ჩანაწერები საარჩევნო უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაში მოდის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ხედვასთან და უკიდურესად რეგრესულია, მისი ბლანკეტური და დისკრიმინაციული ბუნებიდან გამომდინარე. ასევე, კონვენციასთან წინააღმდეგობრივად უნდა შეფასდეს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები პასიური საარჩევნო უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით.

8.3. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

ქმედუნაროდ აღიარებული პირების პირადი და ოჯახური ცხოვრების მარეგულირებელი ნორმები ვერ უზრუნველყოფდა მათი მინიმალური რეალიზების გარანტიებსაც კი. პირისათვის სასამართლოს მიერ ქმედუნარობის სტატუსის მინიჭება ავტომატურად იწვევდა მის გამორიცხვას ქორწინების უფლების განხორციელებისა⁹⁹ და მშობლის უფლების რეალიზების შესაძლებლობებისგან. სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით უფლების შემზღუდავ სისტ ნორმებს, რომელიც მშობლის ქმედუნაროდ ცნობას პირდაპირ უკავშირებდა გაშვილებისა და მინდობით აღზრდის პროცედურის დაწყებას. წლების მანძილზე, სახელმწიფო ინსტიტუციაში მყოფი პირებისათვის ასევე შეუძლებელი იყო ბიოლოგიური შვილის ყოლა, რამდენადაც, კანონმდებლობა მათ შვილებს უმოქმედობით მიტოვებულ ბავშვად მიიჩნევდა და უქვემდებარებდა ავტომატურად გაშვილებას.

ამგვარი რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლით განსაზღვრული უფლების შინაარსთან, რომელიც აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას, მოახდინონ მშობლის უფლების რეალიზება სხვებთან თანაბარ პირობებში. კონვენცია ასევე ადგენს სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას, ბავშვის აღზრდაში მხარდაჭერითი სერვისების განვითარების გზით, ხელი შეუწყონ უფლების სათანადო განხორციელებას.¹⁰⁰

ქმედუნარობის ინსტიტუტის რეფორმის შედეგად, გაუქმდა ყველა ის სამართლებრივი ნორმა, რო-

96. CASE OF ALAJOS KISS v. HUNGARY (Application no. 38832/06); pr. 42; [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["alajos"\],"itemid":\["001-98800"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{)

97. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Denmark; 30 October 2014; pr.60/61 http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=C.RPD%2fC%2fDNK%2fCO%2f1&Lang=en

98. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of the Czech Republic; 15 May, 2015; pr.57/58; <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/098/68/PDF/G1509868.pdf?OpenElement>;

99. ვრცლად იხილეთ ქვეთავი: ქორწინების უფლება

100. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 23

მელიც ზღუდავდა ქმედუწნაროდ აღიარებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მშობლის უფლების რეალიზებას.¹⁰¹ კერძოდ, გაუქმდა ქმედუწნარო მშობლის უპირობო ვალდებულება, გააშვილოს ან მინდობით აღზრდაში გაუშვას საკუთარი ბიოლოგიური შვილი. ნაცვლად ამისა, კანონმდებლობა ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინდივიდუალური შეფასებისა და შესაბამისი მხარდაჭერის განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა, კანონმდებლობამ გაითვალისწინა შეზღუდვა მხარდაჭერის მიმღები პირის მინდობით აღზრდით სისტემაში შესვლასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, შვილად აყვანის ინსტიტუტს მთლიანად აწესრიგებს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“¹⁰² რომელიც არ ადგენს შეზღუდვას მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ, ბავშვის შვილებასთან დაკავშირებით, თუმცა, ბლანკეტურად გამოიციხავს მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ ბავშვის მინდობით აღზრდის შესაძლებლობას, რამდენადაც კრძალავს მის დედობილად/მამობილად ყოფნას.¹⁰³

ასევე, ბლანკეტურ შეზღუდვას ითვალისწინებს მამობის დადგენის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, მამობის დადგენის რეგისტრაცია იმ პირისთვის, რომელიც მხარდაჭერის მიმღებად არის აღიარებული; ასევე, მამობის დადგენა იმ ბავშვისათვის, რომლის მამაც აღიარებულია მხარდაჭერის მიმღებ პირად, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, მხარდაჭერის მიმღები პირი რა სფეროებში იქნა მიჩნეული ამგვარი საჭიროების მქონე პირად.¹⁰⁴

8.4. ქორწინების უფლება

ქმედუწნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი კანონმდებლობა პირის ქმედუწნაროდ აღიარებას ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევდა. ვინაიდან ქორწინების მიზნებისათვის პირის ნების ჩანაცვლება შეუძლებელია, ქმედუწნარო პირებს განუსაზღვრელი ვადით ჰქონდათ შეზღუდული ქორწინების უფლება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქორწინება აღიარებული და დაცულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციით, რომლის 23-ე მუხლი გარანტირებულს ხდის მათ უფლებას, თანაბრად ისარგებლონ სახელმწიფოს მხრიდან იმ საკანონმდებლო თუ სხვა რესურსებით, რომელსაც ის საქორწინო ასაკში მყოფ სხვა პირებს სთავაზობს. გაეროს კონვენცია ქორწინების უფლების რეალიზებას მეუღლეთა თავისუფალ არჩევანსა და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს უკავშირებს.¹⁰⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუწნარო პირების ქორწინების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ქორწინების უფლების აკრძალვით სახეზე იყო უფლების არათანაბრობის შეზღუდვა, რამდენადაც არსებობდა ამ უფლების ნაკლებად მზღუდველი საშუალებით შეზღუდვის გონივრული შესაძლებლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბლანკეტური ნორმა, რომელიც გამოიციხავდა პირების ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებას, არღვევდა თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებას.¹⁰⁶

რეფორმის შედეგად მიღებული მოდელი აუქმებს ქორწინების აკრძალვის ბლანკეტურობას, თუმცა, მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირების ქორწინებას სპეციფიკურ სამართლებრივ რეგულაციას უქვემდებარებს და განსხვავებულად აწესრიგებს ამგვარი გარიგების თანმდევ შედეგებს.

101. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1245, მუხლი 1247, მუხლი 1254.ა, მუხლი 1272.1.გ, 2015 წლის 15 აპრილამდე მოქმედი რედაქცია

102. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1245, მუხლი 1251, მუხლი 1256

103. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მუხლი 7.1.ა

104. საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ მუხლი 35, მუხლი 36

105. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 23.1.ა

106. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; პუნქტი 137

კერძოდ, დღეს მოქმედი რეგულაცია შემზღვეველი შინაარსის ნორმად რჩება, რამდენადაც კრძალავს ქორწინებას იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი მხარდაჭერის მიმღები პირია და რომელთაც კანონით დადგენილი წესით არ დაუდიათ საქორწინო ხელშეკრულება.¹⁰⁷ ამ რეგულაციის გათვალისწინებით, ქორწინების, როგორც უფლების, განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებული ხდება სამოქალაქო ხელშეკრულების - საქორწინო კონტრაქტის დადებაზე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მეუღლეებმა კანონისგან განსხვავებულად მოაწესრიგონ ქორწინების პერიოდში ან ქორწინებამდე შექმნილი ქონების განკარგვის, ასევე მისი განაწილების და სხვა საკითხები.

ქორწინების უფლების რეალიზების ამ ფორმით მოწესრიგება, დამოუკიდებელი სამოქალაქო გარიგების არსებობას დამოკიდებულს ხდის ქონებრივი შინაარსის სხვა სამოქალაქო გარიგებაზე. რეგულაციების ერთობლივი ანალიზის შედეგად ნათელია, რომ საქორწინო კონტრაქტის დადება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ პირს მხარდამჭერი გარიგებების დადების ნაწილში დანიშნული არ ჰყავს და მისი ქონებრივი საკითხები მხარდაჭერას არ საჭიროებს.

გაეროს კომიტეტი არაერთი ქვეყნის მიმართ მომზადებულ დასკვნით მოსაზრებებში პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების განმარტებისას, მოუწოდებს ქვეყნებს, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის უფლება ქორწინებაზე, შვილებსა და მშობლის უფლების განხორციელებაზე. ამასთან, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ მშობლის უფლების განხორციელების მიზნით, მხარდაჭერითი სერვისების დანერგვა და განვითარება.¹⁰⁸

რეფორმასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი სამართლებრივი მოწესრიგება რეფორმის ზოგად სულისკვეთებას და შინაარსს უნდა გამოხატავდეს. რეფორმით დამკვიდრებული მხარდაჭერის კონცეფციის მიზანია, უზრუნველყოს უპირატესად მხარდაჭერის მიმღების ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მთლიანად დაეყრდნობა პირის ინდივიდუალურ შეფასებას და მხოლოდ მისი შედეგების საფუძველზე განსაზღვრავს მხარდაჭერის საჭიროებასა და ინტენსივობას. მხარდაჭერის მიმღები პირის ქორწინების მარეგულირებელი ნორმა თავისი შინაარსით ბლანკეტურია, გამორიცხავს სასამართლოს მიერ ინდივიდუალური შეფასების საჭიროებას და მას სტატუსს - პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის ფაქტს უქვემდებარებს.

ნათელია, რომ ამგვარ რეგულირებას კანონმდებელი მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივი უფლებების დაცვის ინტერესს უკავშირებს, თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს, აღწევს თუ არა მოცემული რეგულირება თავის მიზანს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, მეუღლეთა საერთო თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება იყოფა თანაბრად, გარდა მემკვიდრეობით და ჩუქებით მიღებული ქონებისა.¹⁰⁹ ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებას მათ საერთო ქონებად (თანასაკუთრებად) მიიჩნევს, იგი ცდილობს სამართლიანად გადაჭრას მეუღლეთა ქონებრივი ინტერესები. საქორწინო ხელშეკრულების დადების სავალდებულობის პირობებში, შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დადგეს მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის საკითხი, რამდენადაც კანონი საქორწინო კონტრაქტის დადების იძულებით მხარეებს უბიძგებს კანონისაგან განსხვავებულად მოაწესრიგონ ქონებრივი საკითხები. ეს კი სულაც არ გულისხმობს მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესების უპირობო დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის დადების ეტაპზე, სავალდებულო ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.¹¹⁰

107. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1120.1.ე

108. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the Czech Republic; 15 May 2015; pr. 46; <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/098/68/PDF/G1509868.pdf?OpenElement>; Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial periodic report of Hungary, adopted by the Committee at its eighth session (17 28 September 2012); 22 October, 2012; pr. 37, http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fCO%2fHUN%2fCO%2f1&Lang=en

109. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1158.1

110. იქვე; მუხლი 1172.2

ამდენად, მხარდაჭერის მიმღები პირის ქორწინების უფლების სტანდარტი ქორწინების განსხვავებული რეგულაციის დადგენით არათუ ვერ აღწევს მის მიზანს, დაიცვას მხარდაჭერის მიმღები პირი, არამედ ეჭვქვეშ აყენებს მისი ინტერესების სათანადო დაცვის შესაძლებლობას. მოქმედი მოწესრიგება პრობლემურია ასევე ბლანკეტური შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ქორწინების უფლების რეალიზებისას, გამორიცხავს პირის ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრასა და მხარდაჭერის ადეკვატური ფარგლების დადგენას.

8.5. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კონვენციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს, განურჩევლად პირის სტატუსისა. უფლება მოიცავს სასამართლოებსა და სამართალწარმოების სხვა პროცესებში მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად, სხვებთან თანასწორ პირობებში.¹¹¹

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი მოდელი აბსოლუტურად ზღუდავდა ქმედუნაროდ პირისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. შეზღუდვის გამო, სახეზე იყო ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების შელახვის საფრთხე, მათი დაცვის მექანიზმზე ხელმისაწვდომობის არარსებობიდან გამომდინარე. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბლანკეტური შეზღუდვით, ქმედუნაროდ პირებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მთლიანად დამოკიდებული იყო სხვა პირის ნებაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ უფლების აღნიშნული შეზღუდვა, პროცესიდან მის აბსოლუტურ გამორიცხვასთან ერთად, გაუმართლებლად მიიჩნია.¹¹²

რეფორმის ფარგლებში, მხარდაჭერის მოდელის კანონმდებლობაში ასახვით შეიცვალა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების მოწესრიგება. მისი განხორციელება მთლიანად დაეფუძნა პირის ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების შეფასების ხედვას და შესაბამისი მხარდაჭერითი მექანიზმის დანერგვით დამოუკიდებლად განხორციელების იდეას. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამ, გარკვეული ხარვეზებით, თუმცა, გაითვალისწინა პირის მონაწილეობის შესაძლებლობა სასამართლო პროცესში, რომელიც მისი მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრას შეეხება.¹¹³

მნიშვნელოვანია, რომ გარდამავალ დებულებებში განისაზღვრა რეფორმამდე ქმედუნაროდ აღიარებული პირების უფლება, მეურვის თუ სხვა პირის მონაწილეობის გარეშე, დამოუკიდებლად მიმართონ სასამართლოს მათ ინდივიდუალურ შეფასებამდე, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ჩანაწერია ამ ჯგუფის უფლებების გარანტირებისათვის გარდამავალ პერიოდში. თუმცა, განხორციელებული ცვლილება ურთიერთგამომრიცხავ შინაარსს ატარებს ამ ნაწილში, რამაც შესაძლოა სასამართლოსადმი მისაწვდომობის თვალსაზრისით პრაქტიკაში შექმნას დაბრკოლებები. კერძოდ, ერთი მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს უპირობოდ ანიჭებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, მათ ინდივიდუალურ შეფასებამდე.¹¹⁴ თუმცა, ამასთან, ითვალისწინებს რეგულაციას, რომელიც უფლებას აძლევს მოსამართლეს, წარმოებაში არ მიიღოს იმ პირის სარჩელი, რომელიც აღიარებულია ქმედუნაროდ, მის ინდივიდუალურ შეფასებამდე.¹¹⁵

ამდენად, რეფორმის პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს ქმედუნაროდ აღიარებული პირების სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ურთიერთგამომრიცხავ რეგულაციას, რაც უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.

111. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 13

112. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება

113. ვრცლად იხილეთ თავი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურა და მისი ხარვეზები

114. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 451.1

115. იქვე: მუხლი 451.3

8.6. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდე, განსაკუთრებით მწვავედ იდგა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე, ქმედუნარო პირებისათვის ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.

რეფორმამდე მოქმედი რეგულაციით, ქმედუნარო პირების ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის საფუძვლად საკმარისი იყო მეურვის მიერ გამოხატული თანხმობა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა არ ყოფილიყო უშუალოდ პირის ნამდვილ ნებასთან თანხვედრაში. ქმედუნაროდ აღიარებული პირის ნება გამოირიცხებოდა მისთვის მკურნალობის დაწყებისა და ჩატარების ყველა ეტაპზე, მათ შორის, მკურნალობის გაგრძელებისა და მასზე განსახორციელებელი სხვადასხვა პროცედურის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. ქმედუნარო პირები ასევე არ სარგებლობდნენ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღების უფლებით. კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ ითვალისწინებდა მთელ რიგ ნორმებს, რომელიც გულისხმობდა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქმედუნაროდ აღიარებული პირების არჩევნებში, სამოქალაქო გარიგებებში მონაწილეობისა და სხვა უფლებათა შემზღუდავ რეგულაციებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ქმედუნაროდ აღიარებული პირის მეურვის მხრიდან გამოხატული თანხმობა, როგორც ნებაყოფლობითი მკურნალობის საფუძველი. ამავ ე გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ქმედუნაროდ აღიარებული პირისათვის ინფორმაციაზე წვდომის, ნებაყოფლობითი მკურნალობის, საკუთარი სურვილით ფსიქიატრიული დაწესებულებისა და შესაბამისი მკურნალი ექიმის არჩევის, ასევე გამოკვლევისა და მკურნალობის შეწყვეტის თავისუფლების შემზღუდავი ნორმები.¹¹⁶ სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას განაპირობებდა რეგულაციის შინაარსი, რომელიც ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს სრულად გამორიცხავდა საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებიდან. შემზღუდავი ნორმა არ ახდენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გრადაციას მათი გონებრივი შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხისა და ფორმების მიხედვით, რასაც ახლდა პირის ნების აბსოლუტური და უპირობო გამორიცხვა საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, ნორმის ბლანკეტური ხასიათიდან გამომდინარე.¹¹⁷

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების შემლახავად მიიჩნია და არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც გამონაკლის შემთხვევებში, ექიმს აძლევდა ქმედუნაროდ აღიარებული პაციენტისადმი ჰუმანური მოპყრობის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.¹¹⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, მოიხსნა ის ბარიერები, რაც ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთით სარგებლობისას უარეს მდგომარეობაში აყენებდა, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე სხვა პირებთან შედარებით. ამ მხრივ, კანონმდებლობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, აღარ ახდენს დიფერენცირებას მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსის მქონე პირებსა და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე სხვა პირებს შორის. შესაბამისად, იძულებითი სტაციონირებისა და მკურნალობის, ნებაყოფლობითი მკურნალობის იძულებით მკურნალობად გარდაქმნის, ნებაყოფლობითი მკურნალობის რეგულაციები თანაბრად ვრცელდება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ყველა პირზე, რომლებზეც ვრცელდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მოქმედება. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადო აღსრულების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალმა დებულებებმა ცხადად განსაზღვრონ გარდამავალ პერიოდში ქმედუნარო პირთა უფლება მხოლოდ მათი ნების გათვალისწინებაზე ნებაყოფლობით სტაციონარში მოთავსების დროს.

116. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; პუნქტი 46-47

117. იქვე: პუნქტი 53-54

118. იქვე: პუნქტი 186

მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს ორ გამონაკლისს საარჩევნო უფლების რეალიზებისა და ადამიანის მონაწილეობით დაგეგმილი სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ჩატარების პირობების დადგენისას, სადაც ვხვდებით განსხვავებულ და ბლანკეტურ სტანდარტს მხარდაჭერის მიმღები ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ.

საარჩევნო უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობა სტაციონარში მოთავსებულ მხარდაჭერის მიმღებ პირებს, განსხვავებით სტაციონარში მოთავსებული სხვა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისაგან, უკრძალავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.¹¹⁹

ამასთან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ადამიანის მონაწილეობით დაგეგმილი სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ჩატარების პირობებს. ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის განხორციელებამდე, კანონმდებლობა უშვებდა ქმედუნარო პირის საკვლევ ობიექტად გამოყენების შესაძლებლობას, მისი მეურვის მიერ თანხმობის გამოხატვის გზით. დღეს მოქმედი რეგულაციით, მხარდაჭერის მიმღები პირი შესაძლოა გახდეს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტი, თუ ის არ გამოხატავს რაიმე წინააღმდეგობას და მან მიიღო შესაბამისი მხარდაჭერა.¹²⁰ იგივე კანონი სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტად განიხილავს ნებისმიერ სხვა მხარდაჭერის საჭიროების არმქონე ადამიანს, მხოლოდ მისი ინფორმირებული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.¹²¹

ცხადია, კანონმდებელი განსხვავებულად არეგულირებს მხარდაჭერის მიმღებ და ამგვარი საჭიროების არმქონე პირთა მიერ სამედიცინო კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის გამოხატვის ფორმებს. ამასთან, კანონმდებლობა მხარდაჭერის მიმღები პირების შემთხვევაში, გარდა დაბალი სტანდარტის დადგენისა, რომელიც იმთავითვე გამოიცხადებს პირის შესაძლებლობას წერილობითი ფორმით განაცხადოს თანხმობა ან უარი კვლევაში მონაწილეობაზე, ასევე ბლანკეტურად ადგენს მხარდაჭერის მონაწილეობას ამ პროცესში, მიუხედავად იმისა, რა ტიპის და ფარგლების მხარდაჭერა დაენიშნა პირს სასამართლოს მიერ, ინდივიდუალური შეფასების შედეგად.

საკონსტიტუციო სასამართლო ქმედუნაროდ აღიარებული პირის მკურნალობასთან დაკავშირებული ნორმების კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ უფლებასთან მიმართებით მსჯელობისას ადგენს რომ: „დაცვითი ღონისძიება ავტომატურად არ უნდა ართმევდეს შესაბამის პირს მისი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნებისმიერ ჩარევაზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლებას.“ ამასთან, სასამართლო მე-18 მუხლით დაცული ადამიანის თავისუფლების უფლებასთან შესაბამისობის დადგენისას განმარტავს, რომ პირის მხრიდან ნების გამოვლენად ვერ ჩაითვლება ისეთი მოქმედება, როდესაც ნების გამოხატვა ნაფულისხმევად ან მესამე პირის მეშვეობით მიიჩნევა გამოვლენილად, თუნდაც ეს უკანასკნელი მისი კანონიერი წარმომადგენელი იყოს. აღნიშნული სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცული ადამიანის თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელ დარღვევად მიიჩნია.¹²²

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ძალაში ტოვებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების იძულებითი სტაციონირებისა და მკურნალობის შესაძლებლობას. ქმედუნარიანობის რეფორმამ არ მოიცვა იძულებითი სტაციონირებისა და იძულებითი მკურნალობის მარეგულირებელი ნორმების გადახედვის საკითხი, მათი კონვენციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ნაცვლად ამისა, მან უზრუნველყო მხარდაჭერის საჭიროების და ასეთი საჭიროების არმქონე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვეულწილად გათანაბრება. თავისთავად იძულებითი სტაციონირებისა და იძულებითი მკურნალობის მარეგულირებელი ნორმები ინარჩუნებს ნორმატიულ ძალას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. ამით ის დღის

119. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ მუხლი 15.4¹; 5.1.თ); ვრცლად იხილეთ ქვეთავი: საარჩევნო უფლება

120. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 108; მუხლი 110

121. იქვე; მუხლი 109

122. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; პუნქტი 52 და პუნქტი 198

წესრიგში ტოვებს იძულებითი სტაციონირებისა და მკურნალობის არსებული რეგულაციების კონვენციის სტანდარტებთან არათავსებადობის პრობლემას.¹²³

ვინაიდან, მხარდაჭერის მიმღები პირების შემთხვევაში, მისი ნების საწინააღმდეგო მოქმედებების ჩატარებისა მომეტებული საფრთხე არსებობს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე სამედიცინო მანიპულაციას ეხება, მნიშვნელოვანია, მათ მიმართ დადგინდეს თანხმობის გამოხატვის ისეთივე სტანდარტი, რაც სხვა პირების მიმართაა განსაზღვრული. ამასთან, პროცესში მხარდაჭერის მონაწილეობა გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ინდივიდუალური შეფასების შედეგებისა და სასამართლოს მიერ დადგენილი მხარდაჭერის ფარგლების მიხედვით.

8.7. სამოქალაქო გარიგებების დადება

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდე არსებული მოდელი გამორიცხავდა ქმედუნაროდ ცნობილი პირის მიერ სამოქალაქო გარიგებების, მათ შორის, წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადების შესაძლებლობას. პირი, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებული იყო ქმედუნაროდ, თანაბრად კარგავდა ყველა სამოქალაქო უფლებისა და ვალდებულებების განხორციელების შესაძლებლობას, მიუხედავად მისი შინაარსისა. რეფორმამდელი სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლად პირის ქმედუნარობის სტატუსს მიიჩნევდა, იმის მიუხედავად იყო თუ არა ეს გარიგება სარგებლის მომტანი პირისთვის და იცოდა/ეთანხმებოდა თუ არა ამ გარიგებას მეორე მხარე. სამოქალაქო გარიგებებში შესვლის მიზნით ნების გამოხატვა შეეძლო მხოლოდ ქმედუნარო პირის მეურვეს, თავად ამ პირის ნების აბსოლუტური ჩანაცვლების გზით.

რეფორმამ მთლიანად შეცვალა მიდგომა მხარდაჭერის მიმღები პირის სამოქალაქო გარიგებებში მონაწილეობის მიმართ. კანონმდებლობა სამოქალაქო სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას აღარ უკავშირებს პირის ქმედუნარიანობის სტატუსს. არსებული კანონმდებლობით, სასამართლოს მიერ მხარდაჭერის საჭიროების დადგენის შემთხვევაში, გარიგებების დადებისათვის აუცილებელია პირს გაეწიოს მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგებნი საკომუნიკაციო ფორმით.¹²⁴ შესაბამისად, ნებისმიერი გარიგების დადების დროს, გადაწყვეტილებას გარიგებაში შესვლისა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის შესახებ იღებს მხარდაჭერის მიმღები პირი, შესაბამისი მხარდაჭერის გაწევის პირობებში.

სამოქალაქო კანონმდებლობას, გარიგებებთან კავშირში, შემოაქვს ორი სპეციფიკური რეგულაცია. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი მხარდაჭერის მიმღების მიერ მხარდაჭერის გარეშე დადებული გარიგებების მიმართ არასრულწლოვანთა მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობის წესებს ავრცელებს. ასევე, პირის მიერ წერილობითი ფორმით გარიგების დადებისას, ადგენს მხარდაჭერის გაწევის ფაქტის გარიგებაზე ხელმოწერით დადასტურების ვალდებულებას მხარდაჭერის მხრიდან, რითაც სპეციფიკურად განსაზღვრავს მხარდაჭერის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობის წესს, მისი წერილობითი და ზეპირი ფორმით დადების შემთხვევაში.

სამოქალაქო გარიგებებთან დაკავშირებით მოცემული სამართლებრივი მოწესრიგების დაცვის სუბიექტს სავარაუდოდ თავად მხარდაჭერის მიმღები პირები წარმოადგენენ, რამდენადაც სპეციალური რეგულაციის დადგენით კანონმდებელი ცდილობს, შექმნას ზოგადი ნორმებისაგან განსხვავებული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც იქნება ამ პირთა დაცვის მეტად ეფექტური და სპეციალური მექანიზმი. მიზნის მიუხედავად, კანონმდებლობა არ არის რეფორმის არსის თანმიმდევრული და ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს, მხარდაჭერის მიმღები პირის გაცნობიერებული ნების გამოხატვის პირობებში, გარიგებებში მონაწილეობის უფლების სათანადო რეალიზებას.

123. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCPRD) იმპლემენტაციის სარეკომენდაციო კონცეფცია, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2014

124. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1289.2

მოქმედი კანონმდებლობით, მხარდაჭერი ვალდებულია, მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას, დაეხმაროს მას გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში, თუ ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული.¹²⁵

კანონმდებელმა მხარდაჭერის მიმღებთა მიმართ არასრულწლოვანთა მიერ დადებული გარიგებების სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმები გაავრცელა, რომელიც გარიგების ნამდვილობას არასრულწლოვნის შშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოწონებას ან თანხმობას უკავშირებს.¹²⁶ რეფორმამდე არსებული მოდელისგან განსხვავებით, მოქმედი კოდექსით, მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ დადებული გარიგება იმთავითვე აღარ არის ბათილი. იგი საცილო გარიგებების კატეგორიას მიეკუთვნება, ანუ დადების მომენტში გარიგება ნამდვილია, თუ შეცვილების უფლების მქონე პირი არ გამოიყენებს ამ უფლებას. ამასთან, მხარდაჭერის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული ხდება მხარდაჭერის მოწონებაზე ან თანხმობაზე. ასევე, ასეთი გარიგება ნამდვილია, თუ იგი სარგებლის მომტანია მხარისათვის.

თუმცა, ავტომატური ბათილობის წესი ვრცელდება მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ მხარდაჭერის გარეშე წერილობითი გარიგების დადების შემთხვევაზე, რამდენადაც კანონმდებელი ხელმოწერას გარიგების ფორმის ნაწილად განიხილავს და ბათილად ცნობის სამართლებრივ შედეგს უკავშირებს, როგორც ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას.

სამართლებრივი რეგულაციის დადგენისას, კანონმდებელმა არ გაითვალისწინა ფუნდამენტური სვავობა არასრულწლოვნებსა და მხარდაჭერის მიმღებ პირებს შორის. კერძოდ, არასრულწლოვანთათვის სამოქალაქო გარიგებებში მონაწილეობის ფარგლები კანონითაა შეზღუდული. მათ არ აქვთ ამგვარ ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება. მეტიც, არასრულწლოვნის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე ხელშეკრულების მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.¹²⁷

არასრულწლოვნებისგან განსხვავებით, მხარდაჭერის მიმღებ პირებს კანონით არ ეკრძალებათ სამოქალაქო გარიგებებში მონაწილეობის უფლება. მათ, შესაბამისი მხარდაჭერის მიღების შემდგომ, უფლება აქვთ დადონ ნებისმიერი სახის გარიგება, მათი ნების ავტონომიურობის ფარგლებში, თუნდაც იგი საზიანო იყოს მათი ინტერესებისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე არასრულწლოვანთან ხელშეკრულების დადებით ხდება ხელშეკრულების ბათილობის ტვირთის მატარებელი, რამდენადაც ასაკი ის ობიექტური გარემოებაა, რაც შესაძლოა აღქმადი და შეცნობადი იყოს მხარისათვის. ამის საპირწონედ, პირის მხარდაჭერის მიმღების სტატუსი არ შეიძლება გახდეს გარიგების მეორე მხარისათვის სახელშეკრულებო ტვირთის მატარებელი, რამდენადაც ეს საეჭვოს გავლის სამოქალაქო ურთიერთობაში მხარდაჭერის მიმღები პირის მონაწილეობის უფლების ნამდვილობის პრეზუმფციას. ეს კი იქნება დამაბრკოლებელი გარემოება და შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მხარდაჭერის მიმღები პირების სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობაზე.

ამასთან, პრობლემურია, რომ მხარდაჭერის გარეშე დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას, კანონმდებელი გარიგების ნამდვილობას უკავშირებს არა მხარდაჭერის მიმღები პირის მხრიდან გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების გაცნობიერების კრიტერიუმს, არამედ, მესამე პირის - მხარდაჭერის მიერ გარიგების შემდგომ მოწონებას ანდა სავალდებულო თანხმობას.

კერძოდ, დღეს მოქმედი რეგულაციით, აუცილებელია მხარდაჭერის მიღების გარეშე დადებული გარიგება, მოიწონოს მხარდაჭერმა, რითაც კანონმდებელს მხარდაჭერის ნებითი კომპონენტი შემოჰყავს გარიგების ნამდვილობის განსაზღვრად. ამ რეგულაციით, სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა კანონმდებელმა მხარდაჭერის ნებას დაუქვემდებარა, რითაც მთლიანად მასზე დამოკიდებული გახდა სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის საკითხი. ამგვარი რეგულაცია არღ-

125. იქვე: მუხლი 1293.3

126. იქვე: მუხლი 58¹.2

127. იქვე: მუხლი 64.1

ვევს მხარდაჭერის მიმღები პირის ნების ავტონომიურობის პრინციპს. ვფიქრობთ, კანონმდებელმა განსხვავებულად უნდა მოაწესრიგოს მხარდაჭერის როლი გარიგების დადების შემდგომ, მისი ნამდვილობის შემოწმებისას. ეს უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მის ნებასთან თანხვედრობის შემოწმებას და ხელშეკრულების შედეგების ნამდვილობის განსაზღვრას მისი ნების შესაბამისად.

გარდა ამისა, მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა მხარდაჭერის მიმღები პირების მიერ წერილობით დადებული გარიგებების ნამდვილობის მიმართ ახალი დამატებითი პირობა - მხარდაჭერის ხელმოწერა გაითვალისწინა. სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან მიჯნავს ფორმასავალდებულო და ფორმათავისუფალ გარიგებებს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, პირს აქვს ნებისმიერი ფორმით ხელშეკრულების დადების უფლება და ფორმის არჩევის მიუხედავად, მათ თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ. ამ მხრივ, სამოქალაქო კოდექსი ცნობს ზეპირ და წერილობით ფორმას.¹²⁸ მხარდაჭერის მიმღები პირის მხრიდან დადებულ წერილობით გარიგებას ხელს უნდა აწერდეს მხარდაჭერი, რითაც გამოხატავს მხარდაჭერის გაწევის ფაქტს, რაც თავის მხრივ, ხელშეკრულების მხარდაჭერის მონაწილეობით დადებისა და ორივე მხარისათვის მისი ნამდვილობის გარანტიაა.¹²⁹ თუმცა, ამასთან, აღნიშნული რეგულაციით გარიგებაზე მხარდაჭერის ხელმოწერა გარიგების ფორმის ნაწილი გახდა, რაც ნიშნავს იმას რომ ფორმის დაუცველობის შემთხვევაში, მოქმედებს ხელშეკრულების ავტომატური ბათილობის პირობა,¹³⁰ მიუხედავად იმისა, მხარდაჭერის მიმღები მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში დადებდა თუ არა იმავე სახის გარიგებას ან არის თუ არა სარგებლობის მომტანი აღნიშნული გარიგება მხარდაჭერის მიმღების პირისათვის.

კანონმდებლობა არ არის ერთიანი ფორმათავისუფალი გარიგებების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, როდესაც მხარეები წერილობით ფორმას ირჩევენ. კერძოდ, კანონმდებლობა განსხვავებულ მოთხოვნას აწესებს ზეპირი და წერილობითი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რითაც ორმაგ მიდგომას ადგენს ფორმათავისუფალი გარიგებების მიმართ. მოთხოვნით, ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების შემდგომ, მხარდაჭერის ხელმოწერის გარეშე ხელშეკრულება ფორმის დაუცველად დადებულ ხელშეკრულებად ჩაითვლება, რომელიც დადების მომენტიდან ბათილია, რაც მისი ზეპირად დადების შემთხვევაში, საცილო გარიგებად მიიჩნეოდა.

მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის წერილობითი ფორმის არჩევის შემთხვევაში, განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგენით, კანონმდებლობა სხვადასხვა ფორმის ხელშეკრულების დადებისას სამართლებრივი შედეგების დიფერენცირებასაც ახდენს. ამით იგი, თითქოს, უპირატესობას ანიჭებს წერილობით დადებულ ხელშეკრულებას მაშინ, როდესაც წერილობითი და ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულება თანაბარი იურიდიული ძალისაა.

მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუწარო პირების მიერ დადებული გარიგებების ავტომატური ბათილობის სამართლებრივი შედეგი ქმედუწარო პირთა უფლებების მომეტებულ შეზღუდვად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა წერილობით დადებული ხელშეკრულების ფორმის ნაწილად მხარდაჭერის ხელმოწერის სავალდებულოება გაითვალისწინა, რითაც ფორმის დაუცველად გარიგების დადების შემთხვევაში, მისი ბათილობის სამართლებრივი შედეგი დაადგინა. აღნიშნული სტანდარტი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობასთან.¹³¹

ამდენად, გარიგების მომწესრიგებელი ნორმებზე არასრულწლოვანი პირების მიმართ არსებული რეგულაციის გავრცელებით, კანონმდებელმა გარიგებების ნამდვილობა დამოკიდებული გახადა მხარდაჭერის ნებაზე, რითაც ეჭვქვეშ დააყენა მხარდაჭერის მონაწილეობის უპირატესობის, მისი ნების ავტონომიურობის მნიშვნელობა გარიგებებში. ამასთან, ცალკეული გარიგებების სხვადასხვა

128. იქვე: მუხლი 69.1

129. იქვე: მუხლი 69.3¹

130. იქვე: მუხლი 59.1

131. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; პუნქტი 21

ფორმით დადების შემთხვევებში, განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგენით, კანონმდებელი გაუმართლებელ დიფერენცირებას ახდენს ერთი და იგივე სამართლებრივი ძალის მქონე გარიგებების მიმართ და მათ განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ეს, შესაძლოა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესების შელახვის საფუძველი გახდეს.

9. პირის მხარდაჭერის მიზლებად ცნობის პროცესის ხარვეზები

სასამართლოში პირის ქმედუწუნაროდ აღიარების მოთხოვნით განცხადების წარდგენისთანავე, რეფორმამდელი მოდელის მიდგომა პირის ქმედუწუნარობის პრეზუმფციას ეყრდნობოდა. ქმედუწუნაროდ აღიარება იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციის მოქმედების პირობებში ხდებოდა, რომელიც პირის პროცესიდან აბსოლუტურ გამორიცხვას გულისხმობდა. „ჭკუასუსტობის“ ან „სულით ავადმყოფობის“ საფუძვლით, სასამართლო შესაბამისი უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე, უდავო წარმოების წესით იხილავდა პირისათვის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შეზღუდვის საკითხს, სადაც პროცედურის არცერთი ეტაპი მისი მონაწილეობის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

კანონმდებლობა გამორიცხავდა პირის ქმედუწუნაროდ ცნობისა და მისთვის მეურვის დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. იგი არ ითვალისწინებდა პირისათვის მეურვის დანიშვნის პროცედურაში მონაწილეობის საკანონმდებლო გარანტიებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პირის ქმედუწუნარობის აღდგენის პროცედურა, პირის ქმედუწუნაროდ მიჩნევის საფუძვლის შეცვლის შემთხვევაშიც კი, მთლიანად დამოკიდებული იყო მეურვის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადებაზე და გამორიცხავდა ქმედუწუნაროდ ცნობილ პირს, როგორც შესაბამისი პროცესის ინიცირების სუბიექტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმათა ნორმატიული შინაარსი, რომელიც არ ითვალისწინებდა ქმედუწუნარო პირებისათვის სასამართლოში სამართალწარმოების დაწყებას, ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად, კონსტიტუციით დაცული თანასწორობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან წინააღმდეგობიდან გამომდინარე.¹³² ამასთან, განსახილველი ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას, სასამართლომ ქმედუწუნარო პირის უფლების შემზღუდავად მიიჩნია ის სამართლებრივი მოცემულობა, რომლის მიხედვითაც, პირის ქმედუწუნარობის აღდგენის პროცედურა არ შეიძლება დაწყებულიყო თავად ქმედუწუნაროდ აღიარებული პირის მიერ.¹³³

9.1. პირის მხარდაჭერის მიზლებად ცნობა

რეფორმამდე, პირის ქმედუწუნაროდ ცნობის საქმისწარმოება უდავო კატეგორიის საქმეებს მიეკუთვნებოდა. უდავო წარმოება, თავისი არსით, განსხვავდება სასარჩელო წარმოებისგან. უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ყველა იურიდიული ფაქტის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, განმცხადებლის ინტერესის შესაბამისად, კონკრეტული ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის დადგენა. ამასთან, ამგვარ წარმოებაში განმცხადებლის იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანთან, უმეტესწილად, კავშირშია დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის სასარჩელო წარმოებაში არსებული მოდავე პირის იდენტური.¹³⁴ უდავო წარმოებაში არ არსებობენ ურთიერთშეპირისპირებული მხარეები და ის არ გულისხმობს დავას უფლების თაობაზე, რაც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები - ის, თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.¹³⁵ რეფორმამდელი მოდელის პირობებში, სასამართლოს მთავარი ამოცანა პირის ქმედუწუნარობა-ქმედუწუნარობის საკითხის გარკვევა და მისი დადგენა იყო. ხოლო ამ ფაქტის სამართლებრივი შედეგები, კერძოდ კი, ქმედუწუნაროდ აღიარებული პირის უფლებების შეზღუდვა კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული, რომელიც

132. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, III, 4. ა. ა.ა); 4. ა. ა.ბ); 5.ა; 5.ბ

133. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II, პუნქტი 60

134. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის Nას-741-702-2015 გადაწყვეტილება

135. იქვე

თავის მხრივ არავითარ გამონაკლისს ან ინდივიდუალურ მიდგომას არ ითვალისწინებდა.

დღეს მოქმედი რედაქციით, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოება არ არის უდავო წარმოება. იგი დამოუკიდებელი არასასარჩელო წარმოების სახეა, რომელმაც გაითვალისწინა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის პროცესში სავალდებულო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიები.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც სასარჩელო, ისე არასასარჩელო საქმისწარმოების სპეციალურ წესს და შესაბამის პროცედურებს. ამასთან, თუ წარმოება არ მიმდინარეობს მისთვის განსაზღვრული სპეციალური წესით, იგი ზოგადი საერთო სასარჩელო წესით უნდა იქნას განხილული.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საქმისწარმოება იწყება მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის, მისი ოჯახის წევრის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქიატრიული სპეციალიზებული დაწესებულების განცხადების საფუძველზე. მართალია, ტექნიკურად, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სამართალწარმოება აღარ მიეკუთვნება უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს, თუმცა, იგი არასასარჩელო წარმოების წესების დაცვით მიმდინარეობს და ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას, რამდენადაც არ ითვალისწინებს სასარჩელო წესით საქმის განხილვის შესაძლებლობას, ამგვარი საჭიროების შემთხვევაში. წარმოების წესით განსაზღვრულია განმცხადებლის სტატუსი, თუმცა, არ არის ნათელი პროცესის სხვა მონაწილეები რა სტატუსით მონაწილეობენ პროცესში. ეს, პროცესში მონაწილე პირების მიმართ საპროცესო უფლებების გავრცელების თვალსაზრისით, ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს.

ამგვარი კრიტიკისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება რომ, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის წარმოებამ შესაძლოა შინაარსობრივად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული შინაარსის წარმოების სახე მიიღოს. ერთი მხრივ, შესაძლოა სახეზე იყოს პირის გაცნობიერებული ნებისა და თანხმობის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის მიღების მიზნით განცხადებით დაწყებული წარმოება, რომელიც თავის თავში არ მოიცავს დავის ელემენტებს. ხოლო მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრული მესამე პირების მხრიდან ინიცირებული წარმოება, რომლის საჭიროებასა და მხარდაჭერის ფარგლებს შესაძლოა არ ეთანხმებოდეს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი, რაც დავის წარმოების საფუძველია. ამგვარი წინააღმდეგობის შემთხვევაში, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმოების სამოქალაქო დავაში გადაზრდის შესაძლებლობას, განსხვავებით უდავო წარმოების წესებისგან, რომელიც დავის წარმოების შემთხვევაში, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, განუხილველად დატოვოს განცხადება და საქმეში მონაწილე დაინტერესებულ პირებს განუმარტოს საერთო სასარჩელო წესით საქმისწარმოების დაწყების აუცილებლობის თაობაზე.¹³⁶

ამასთან, კანონმდებლობა სასამართლო ექსპერტიზაზე გამოუცხადებლობის გარდა, არ ითვალისწინებს არცერთ საფუძველს, რომელიც პირს აარიდებდა არასასურველ მხარდაჭერას. მხარდაჭერის მიღებაზე პირის მიერ უარის თქმის შესაძლებლობა კი ქმედუნარიანობის კონვენციისეული გაგების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.¹³⁷ მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია, რომ პირის საუკეთესო ინტერესების რეალიზების პრინციპი პირის თავისუფალი და გაცნობიერებული ნებისა და არჩევანის პრინციპმა ჩაანაცვლოს. მხარდაჭერის ნებისმიერი ფორმა და მისი რეალიზების პროცედურა სწორედ ამ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს, მიუხედავად იმისა მიიჩნევენ თუ არა სხვა პირები ამ არჩევანს პირის ობიექტურ და საუკეთესო ინტერესად.¹³⁸ ეს უკანასკნელი გულისხმობს პირის ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, უარი თქვას მხარდაჭერის მიღებაზე, ანდა შეცვალოს მხარდაჭერის ფარგლები, საჭიროების შემთხვევაში.

136. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 311.2

137. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.29.ზ

138. იქვე: პ.29.ბ

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა, რამდენადაც ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მხარდაჭერის მიმღებლად საცნობი პირის ნებისა და მისი ნების არარსებობის პირობებში განხორციელებული სამართალწარმოების შემთხვევებს, ამასთან, დავის წარმოშობის შემთხვევაში, კანონმდებლობა არ არის მოქნილი წარმოების სახეცვლილების საკითხზე, მხარდაჭერის მიმღებლად საცნობი პირისათვის იგი ვერ უზრუნველყოფს შეჯიბრებით პროცესს. ეს კი, თავის მხრივ, პირის უფლებების სათანადოდ დაცვის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს, მათ შორის, პირის უფლებას, უარი თქვას არასასურველ მხარდაჭერაზე და/ან თავად განსაზღვროს მხარდაჭერის მიღების ფარგლები.

ეროვნულ კანონმდებლობაში პირის მხარდაჭერის მიმღებლად ცნობის პროცედურა აგებულია მხოლოდ ფაქტების სრულად გამოკვლევისა და დადგენის მიზანზე, რასაც გარდა ექსპერტიზისათვის დასმული შეკითხვებისა, სხვა დამატებითი გარემოებების მითითების ვალდებულების კანონისმიერი ჩანაწერიც მოწმობს.¹³⁹ პირის მხარდაჭერის მიმღებლად ცნობის საქმისწარმოების პროცესში, სასამართლო ინკვიზიციურია. იგი იკვლევს საქმის გარშემო არსებულ გარემოებებს, რათა დაადგინოს მხარდაჭერის სერვისის მიღების ობიექტური საჭიროება. საქმის ამგვარ პრინციპებზე დაყრდნობით განხილვამ შესაძლოა გამორიცხოს მხარეთა შეჯიბრებითობა, საჭიროების არსებობისას, რაც გაართულებს მხარდაჭერის მიმღებლად საცნობი პირის სრულფასოვან მონაწილეობას პროცესში.¹⁴⁰

საქმისწარმოების ეტაპზე, არასასარჩელო წესით, განცხადების საფუძველზე დაწყებული წარმოება თავისთავად არის პირის შეფასების საფუძველი და იგი არ ქმნის განცხადების საფუძველზე სასარჩელო წარმოების დაწყებისა და/ან გადაზრდის შესაძლებლობას. შესაბამისად, პირის ნება, უარი თქვას მხარდაჭერის მიღებაზე, მხოლოდ სასამართლო ექსპერტიზაზე ნებაყოფლობითი უარის პირობებში მიიღწევა.

ამდენად, წარმოების არსებული სისტემა სათანადოდ არ ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებლად საცნობი პირის უფლებას, უარი განაცხადოს მხარდაჭერის მიღებაზე, სრულყოფილად მონაწილეობითი და შეჯიბრებითი პროცესის გამართვის პირობებში. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის პირის პროცესში სრულად მონაწილეობის იდეასთან და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მისი უფლებების ჯეროვან რეალიზებას.

9.2. ექსპერტიზის ჩატარება, იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნა და გასაჩივრება

მხარდაჭერის მიმღებლად პირის ცნობის მოთხოვნით განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე, სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას და ფსიქოსოციალურ ექსპერტიზას ნიშნავს. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარება გულისხმობს პირის სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის და სხვა ასპექტების შეფასებას, რის შემდეგაც ხდება პირის მხარდაჭერის თავისებურებების ინდივიდუალური განსაზღვრა.¹⁴¹

კანონმდებლობაში არსებული არაერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერის მიუხედავად, ექსპერტიზის ჩატარების წესს მიემართება რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევებს და ნათლად არ ადგენს იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთან, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა ხმების გაყოფის შემთხვევაში, დასკვნა უარყოფითად არ მიიჩნევა. ეს კი შესაძლოა ახდენდეს არათანაზომიერი ტვირთის გადატანას სასამართლოზე. ექსპერტიზის ჩატარებაზე ექსკლუზიური საექსპერტო ბიუროს განსაზღვრა ართულებს ალტერნატიული მტკიცებულების მოპოვებისა და წარდგენის შესაძლებლობას. კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს მულტიდისციპლინური ჯგუფის ექსპერტ წევრთა უფ-

139. საქართველოს კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, მუხლი 10.2.თ

140. ვრცლად იხილეთ თავი: პირის მხარდაჭერის მიმღებლად ცნობის პროცესის ხარვეზები

141. საქართველოს კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, მუხლი 4

ლებას, შესაბამისი კომპეტენციის არქონის საფუძველით, უარი თქვას დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე.

მოქმედი კანონმდებლობა გამოყოფს იძულებითი ექსპერტიზის პროცედურას და მის დანიშვნას პირის მხრიდან საკუთარ ან სხვათა უფლებებისათვის ზიანის მიყენების საფუძველზე უკავშირებს.¹⁴² იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნის შემდგომ ხდება პირის იძულებითი მიყვანა, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩასატარებლად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტი ცალსახად უარყოფითად აფასებს პირის მიმართ ნებისმიერი მოქმედების იძულებით განხორციელებას და უთითებს სახელმწიფოების ვალდებულებაზე, გააუქმონ კანონმდებლობა, რომელიც უშვებს იძულებითი მკურნალობას, იძულებითი მოთავსებას და იძულების ნებისმიერ ფორმას. კომიტეტი სწორედ ამ ტიპის იძულებითი რეჟიმების გაუქმების აუცილებლობას ხედავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების გარანტირებისათვის.¹⁴³ კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ პირის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები არა იძულების რაიმე ფორმით, არამედ მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის პირობებში იქნას მიღებული.¹⁴⁴ თუმცა, ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით იძულებითი ექსპერტიზა დღემდე გავრცელებული პრაქტიკაა არაერთ ქვეყანაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ნათლად არ ადგენს პირის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლებას. განსხვავებით იმ საკანონმდებლო რეგულაციებისაგან, რომელიც ნათლად და ცალსახად ითვალისწინებს პირის უფლებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას.¹⁴⁵ იძულებითი ექსპერტიზის გასაჩივრების შეუძლებლობის შემთხვევაში, რეგულაცია შელახავს პირის უფლებას, ჰქონდეს მის მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურული ბერკეტები და უფლებაში ადგენის შესაძლებლობა. ამგვარ საპროცესო გარანტიებზე ხელმისაწვდომობა კომიტეტის პირდაპირი მოთხოვნაა, რასაც ყველა შიდა მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს.¹⁴⁶

დასკვნა ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე მიიღება მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა ხმათა უმრავლესობით, რომელიც შედგება ფსიქიატრის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და ოკუპაციური თერაპევტისაგან. ისინი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას პირის ფსიქოსოციალური მდგომარეობის შესახებ. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ექსპერტიზის დადებით და უარყოფით დასკვნებს.¹⁴⁷ მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრებს შორის ხმათა გაყოფა არ მიიჩნევა უარყოფით დასკვნად და ასეთის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას დასკვნის შეფასების საფუძველზე, იღებს სასამართლო. სასამართლო ექსპერტიზას ნიშნავს სპეციალური ცოდნის არარსებობის საფუძველით¹⁴⁸ და მისი ვალდებულებაა ამგვარ შემთხვევებშიც მიიღოს გადაწყვეტილება მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროებაზე, რაც შესაძლოა პრობლემური იყოს მისთვის, როგორც სპეციალური ცოდნის არქონე უწყებისათვის. განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ექსპერტიზის დასკვნა უმნიშვნელოვანესი საფუძველია ამგვარი საჭიროების განსაზღვრისას. შესაბამისად, არსებული რეგულაცია იძლევა შესაძლებლობას, მოსამართლემ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გარეშე, საქმეში წარმოადგენილ სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე.

142. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363²⁰

143. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.7

144. იქვე: პ.42

145. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 20²¹.1

146. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.29.თ

147. „დადებითი დასკვნა - დასკვნა, რომლითაც დასტურდება პირის ფსიქიკური, გონებრივი ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას“ ფსიქოსოციალური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ კანონი, მუხლი 13.2

148. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 162.1

სამოქალაქო კანონმდებლობა სათანადო ცოდნისა და დასაბუთების არარსებობის შემთხვევაში, ექსპერტს უფლებას აძლევს უარი თქვას დაკისრებული საექსპერტო ვალდებულების შესრულებაზე.¹⁴⁹ თუმცა, ასეთი გარანტიით არ არის დაცული მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრი, რომელსაც კანონი საბოლოო დასკვნის მიღებისათვის კენჭისყრაში მონაწილეობას ავალდებულებს.¹⁵⁰ დასკვნის მიცემისაგან ექსპერტის თავის შეკავების უფლება საექსპერტო დასკვნის ნამდვილობისა და უტყუარობის მიზანს ემსახურება. ამგვარი რეგულაციის პირობებში, ხმის მიცემის სავალდებულობა აფერხებს ექსპერტის ნების თავისუფლად გამოვლენის შესაძლებლობას. შესაბამისი კომპეტენციის არქონის პირობებშიც კი, იგი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებით ბოჭავს ექსპერტს, რამდენადაც ის ვალდებულია მხოლოდ დადებითი, ან მხოლოდ უარყოფითი პასუხი გასცეს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვას თითოეულ უფლებასთან მიმართებით. ეს კი შესაძლოა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ექვის ქვეშ აყენებდეს თავად დასკვნის სიზუსტეს და ხარისხს.

ამასთან, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ერთადერთი საექსპერტო ორგანოა ექსპერტიზის ჩატარებაზე ექსკლუზიური უფლებით,¹⁵¹ ამან შესაძლოა გაართულოს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებისა და საქმეში საპირისპირო მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირისათვის. ამასთან, ალტერნატიული ექსპერტიზის წარდგენის შემთხვევაშიც კი, ბუნდოვანი რჩება ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის ძალის თანაბრობა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, როგორც კანონით სპეციალურად განსაზღვრული ორგანოს, საექსპერტო დასკვნასთან მიმართებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურა ითვალისწინებს კონვენციის ძირითად სახელმძღვანელო მოთხოვნებს, თუმცა, შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას. კერძოდ, ხარვეზიანია მხარდამჭერად საცნობი პირის მხრიდან პროცესის სასარჩელო დავაში გადაზრდის, მხარდაჭერის საჭიროების ფარგლების შეცვლის ან მასზე უარის თქმის დამაბრკოლებელი ან მოუქნელი საკანონმდებლო რეგულირება. პრობლემურია პირისათვის ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების მომწესრიგებელი ნორმები და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე ცხადი ჩანაწერის არარსებობა. ასევე, უნდა აღინიშნოს ცალკეულ ნაწილებში ექსპერტიზის ჩატარების პროცესის და ალტერნატიული საექსპერტო დასკვნის წარდგენის პრობლემურობა.

149. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 168.3

150. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონი, მუხლი 13.7

151. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონი, მუხლი 3.3

10. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ქმედუნარიანობის რეფორმის საკანონმდებლო რეგლამენტირების შემდეგ, უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესი, რომლის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი. საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საქმისწარმოების მასალების ანალიზი რეფორმის დანერგვისა და მისი აღსრულების თითქმის ყველა ეტაპზე სხვადასხვა შინაარსის ხარვეზებს გამოკვეთს, რაც რეფორმის იმპლემენტაციის სირთულეებისა და პრობლემების სისტემურობას აჩვენებს.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა მოიცავს 2015 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 1 აპრილამდე საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის საქმის განმხილველი 13 სასამართლოს მიერ მოწოდებულ სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საქმის წარმოების მასალებს.¹⁵² საანგარიშო პერიოდში მიღებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე არსებითი საკითხი, რომელთა იდენტიფიცირება გადამწყვეტია რეფორმის შინაარსის სათანადო აღსრულებისთვის.

სასამართლოში საქმის წარმოების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, ძირითადად, ერთგვაროვანია და სასამართლოსათვის მიმართვის, ექსპერტიზის ჩატარებისა და საქმისწარმოების ეტაპებს უკავშირდება. მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება სასამართლოს მხრიდან პროცესის წარმართვის და გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების თავსებადობა ქმედუნარიანობის ცნების არსთან. გამოვლენილი ხარვეზების სისტემურობა და მასშტაბი ნათლად აჩვენებს, რომ რეფორმის შინაარსი რეალურად ვერ აისახება პრაქტიკაში და მეტიც, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან ცალკეულ ნორმათა ინტერპრეტაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების არსს და იმეორებს ქმედუნარიანობის გაუქმებული მოდელის შინაარსს.

10.1. სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის ეტაპი

სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის ეტაპი პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც არსებითად განსაზღვრავს წარმოების შინაარსს, ფარგლებს და ამდენად წარმოადგენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. მოქმედი კანონმდებლობით, განცხადების შინაარსი იმ სფეროების ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს, რომელშიც პირს მხარდაჭერა სჭირდება.¹⁵³ განცხადებაში შესაფასებელი სფეროების მითითების მიზანი სასამართლოსათვის მოთხოვნის ნათლად განსაზღვრა, სასამართლოს მსჯელობის ფარგლების ჩამოყალიბება და წინასწარ განჭვრეტა, რაც შემდგომში სასამართლოს ამავე ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებს.

კვლევის ფარგლებში დამუშავებული საქმისწარმოების მასალებიდან ჩანს, რომ სასამართლოსადმი მიმართვისას, მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრის ეტაპზე წარდგენილი განცხადებების უმეტესობა ბუნდოვანია, გარკვევით არ შემოფარგლავს შესაფასებელ სფეროებს და არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, პროცესის დანარჩენი ეტაპების პირის რეალურ ინტერესებთან შეუსაბამოდ წარმართვის წინაპირობა გახდეს. განცხადებებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის მოტივი უმეტესად პირის ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება ან განკარგვაა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში, პენსიითა და სოციალური პაკეტით სარგებლობით, ან სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის ინტერესით არის განპირობებული. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვის მოტივი თავისთავად არ მოიცავს პირის ინდივიდუალური შეფასების ინტერესს, რაც ტოვებს თავისუფალ სივრცეს, რომ პირისათვის მხარდაჭერის საჭიროება დადგინდეს ყველა

152. საქმის მასალები მოიცავს პირველი ინსტანციის 13 სხვადასხვა სასამართლოს 96 საბოლოო გადაწყვეტილებას პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, 52 განჩინებას საქმის წარმოების შეჩერებისა და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ბიუროს 24 დასკვნას, 14 განცხადებას პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე

153. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363¹⁵

სფეროში, რასაც ადასტურებს კიდევ ამ დრომდე არსებული პრაქტიკა.

ვინაიდან განცხადების წარდგენის ეტაპზე, განმცხადებლის მხრიდან არ ხდება პირის კონკრეტული საჭიროებების სრულყოფილად გამოვლენა და შესაფასებელი სფეროების საჭიროებებთან კავშირში იდენტიფიცირება, შემდგომში, სასამართლო ფართოდ ხედავს მოთხოვნის შინაარსს და ფარგლებს, რაც შესაბამისად აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ მოთხოვნის ბუნდოვანება სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, სრულად მოითხოვოს პირის ფსიქოსოციალური შეფასება, რასაც შემდგომ აფუძნებს მის გადაწყვეტილებას. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოები არ ითვალისწინებენ განმცხადებლის მიერ საქმის საწყის ეტაპზე განცხადებაში მითითებულ მოთხოვნას, არ იბოჭებიან მისი ფარგლებით და საკუთარი შეხედულებისამებრ, აფართოებენ მას.

მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოება შესაძლოა იყოს შესაფასებელი სფეროების ზუსტი იდენტიფიცირება და მოთხოვნის სათანადოდ ფორმულირება. წინასწარ დადგენილი, სფეროების მიხედვით დეტალიზებული, განცხადების ფორმა გაამარტივებდა განმცხადებლისათვის მოთხოვნის ფორმულირებას და მეტად უზრუნველყოფდა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ინტერესებისა და საჭიროებების თანხვედრი მოთხოვნის დაყენებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მმართველთა ძალისხმევა პოტენციური განმცხადებლების სათანადო ინფორმირებისა და შესაბამისი მხარდაჭერის მიზნით.

10.2. მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ინდივიდუალური შეფასებისათვის ექსპერტიზის დანიშვნა

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირისათვის ექსპერტიზის ჩატარების ამოცანა და მიზანი. ექსპერტიზამ უნდა უზაუსხოს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებს.¹⁵⁴ მულტიდისციპლინური ჯგუფის ყველა წევრმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში, პირის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად, მხარდაჭერის გარეშე მიღების შესაძლებლობა.¹⁵⁵

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლოების მხრიდან ექსპერტიზისათვის დასმული კითხვები არ არის ზუსტი და უმეტეს შემთხვევაში, სრულად იმეორებს კანონის ზოგად ჩანაწერს, რაც სასამართლოს მხრიდან პირის ინდივიდუალური შეფასების მიზნის არარსებობას და ფორმალურ მიდგომას აჩვენებს. აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია როგორც განმცხადებლის მიერ განცხადებაში დაყენებულ ზოგად და ბუნდოვან ფორმულირებასთან, ისე თავად სასამართლოს მიერ საკუთარი შეხედულებით პირის საჭიროებების შეფასების ფარგლების გაფართოებასთან.

როგორც წესი, ექსპერტიზისადმი მიმართვის ეტაპზე, სასამართლო იმეორებს კანონის იმ ჩანაწერს, რომელიც ადგენს მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელ გარემოებებს და მას კითხვის ფორმულირებას სძენს. კითხვების ფორმულირებისას, სასამართლო, უმეტესად, ექსპერტს არ სთხოვს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი შეფასებას კონკრეტული უფლების განხორციელების ქრილში. მოთხოვნა ზოგადია და პირის ფსიქოსოციალური საჭიროების დადგენის მიზანს ემსახურება. ამასთან, სასამართლოს კითხვა ექსპერტიზისადმი არ მოიცავს მხარდაჭერის ხარისხისა და ინტენსივობის დადგენის მიზანს თითოეულ შესაფასებელ სფეროსთან მიმართებით დამოუკიდებლად.

შესაბამისად, სასამართლოს მიერ ექსპერტიზისადმი დასმული კითხვები, მისი ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის ფორმულირებული პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ეს კი ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირთა კონკრეტული საჭიროებების შეფასებას და შესაბამისი სერვისის შეთავაზებას, ვინაიდან არ არის მიმართული პირის მიერ სხვა-

154. საქართველოს კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, მუხლი 10.2.გ

155. იქვე: მუხლი 10.1

დასხვა სფეროში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობის განსაზღვრისაკენ.¹⁵⁶ ამასთან, ნათელია, რომ სასამართლოს მიდგომა პირის ფსიქოსოციალური საჭიროებების დადგენის ეტაპზე ეწინააღმდეგება შეჯიბრებითი პროცესის ლოგიკას და იგი ობიექტური ქეშმარიტების, პირის „ობიექტური საჭიროებების“ დადგენის მიზანს ემსახურება.

შესწავლილი მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ სასამართლოს მიერ დასმული კითხვის ზოგად ფორმულირებას ასევე პასუხობს ექსპერტიზის პროცესში მულტიდისციპლინური ჯგუფი და უმეტეს შემთხვევაში, განსაზღვრავს „სრული მხარდაჭერის“ საჭიროებას პირის მიმართ. უფრო მეტიც, ექსპერტიზის დასკვნა ცალკეულ შემთხვევებში კიდევ უფრო აფართოებს სასამართლოს მიერ ზოგადად დასმული მოთხოვნის ფარგლებს, არ ითვალისწინებს კანონით დადგენილ მოთხოვნას დამატებით სფეროებში მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში ამ სფეროების კონკრეტულად დადგენის თაობაზე და უთითებს, რომ მხარდაჭერის საცნობი პირს გარდა მოთხოვნილისა, „ყველა სხვა სფეროში“ ესაჭიროება მხარდაჭერა. აღნიშნული ფორმულირება თავისთავად პრობლემურია, განსაკუთრებით მისი აღსრულების მიზნებისათვის.¹⁵⁷ ამასთან, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან ე.წ. „სრული მხარდაჭერის“ საჭიროების დადგენის პრაქტიკა განსაკუთრებით სახიფათოა, ვინაიდან თავად ექსპერტიზის დასკვნებიდან არ იკვეთება ბმა კონკრეტული პირის ფსიქოსოციალურ მდგომარეობასა და პირის მიერ ცალკეულ უფლებებით დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის ეტაპზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით მისი ფსიქოსოციალური მდგომარეობის შეფასებას და მასთან კავშირში მხარდაჭერის სფეროების, ხარისხის, ინტენსივობისა და მხარდაჭერის ფორმების გამოვლენას.

10.3. მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სტატუსი სამართალწარმოებაში და სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა გამოყო უდავო წარმოების საქმეებისგან და დამოუკიდებელ წარმოებად გაითვალისწინა, არსებობს საქმეთა უდავო წარმოების პრინციპებით განხილვის პრაქტიკა.¹⁵⁸ მნიშვნელოვანია, რომ უდავო წარმოებაში, სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, მხარედ მხოლოდ განმცხადებელი განიხილება. ხოლო სხვა პირები პროცესში სპეციალური სტატუსით და განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთვებიან. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე განცხადების უდავო წარმოების პრინციპებით განხილვა, მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსის განუსაზღვრელობის პირობებში, იმთავითვე ართულებს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სათანადო და ადეკვატური მონაწილეობისათვის შეჯიბრებითი პროცესის შექმნას.¹⁵⁹

ეს განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირების წერილობითი თანხმობის არსებობისას ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ სასამართლო მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით შემოიფარგლოს. მხარეები კი წერილობითი ფორმით გამოხატავენ თანხმობას გადაწყვეტილების შედეგზე და ამასთან, უარს ამბობენ მისი გასაჩივრების უფლების გამოყენებაზე.¹⁶⁰ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ავლენს, რომ საქმისწარმოების ეტაპზე მხარდაჭერის მიმღები პირის

156. შენიშვნა: სასამართლოები კითხვების ფორმულირებით ციტირებენ ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს

157. ვრცლად იხილეთ თავი: მხარდაჭერის სისტემა, მისი ადმინისტრირება და მხარდამჭერების საქმიანობაზე ზედამხედველობა

158. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის N1025578-2/262-15 გადაწყვეტილება; ახალციხის რაიონული სასამართლოს 23 სექტემბრის N1006149-2/221-15 გადაწყვეტილება; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის N1004192-2/216-15 გადაწყვეტილება

159. ვრცლად იხილეთ თავი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესის ხარვეზები

160. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 250

სტატუსის ბუნდოვანება, არაერთგვაროვანი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა სწორედ გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირის განმარტებისას, რამდენადაც ხშირად, ამგვარ უფლებამოსილ პირად სასამართლო მხოლოდ განმცხადებელს მიიჩნევს. ეს კი უდავო წარმოების წესის მახასიათებელია. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით შემოიფარგლება მხოლოდ განმცხადებლის წერილობითი თანხმობის არსებობისას. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის პროცესში სრულად არის გამორიცხული მხარდაჭერის მიმღები პირი, რამდენადაც მის წერილობით თანხმობას სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს.¹⁶¹

თუმცა, სასამართლოთა მცირე ნაწილმა მიუხედავად საკანონმდებლო სირთულისა და მხარდამჭერად საცნობი პირის სტატუსის ბუნდოვანებისა, განსხვავებული პრაქტიკა დაადგინა, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირისთვის დანტერესებული პირის სტატუსის მინიჭებითა და მისი წერილობითი თანხმობის, როგორც ვალდებულო რეკვიზიტის შემოყვანის გზით.¹⁶² თუმცა, პროცესში მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულფასოვნად მონაწილეობის მიზნით, მნიშვნელოვანია კანონმდებლობა მას მხარის სტატუსს ანიჭებდეს.

ამდენად, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სტატუსის ბუნდოვანება არაერთგვაროვანი განმარტების საშუალებას იძლევა პრაქტიკაში, რაც მათ არ აძლევთ შესაძლებლობას, საქმის განხილვის პროცესში მხარედ ჩაერთონ. შედეგად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა, მათი მონაწილეობის გამორიცხვით ხდება.

10.4. სასამართლო გადაწყვეტილებები პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე

მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება პირისთვის მხარდაჭერის დანიშვნის საფუძველია. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, გადაწყვეტილებაში ასახოს მისი გამოტანის მოტივი. მოსამართლემ უნდა მიუთითოს უფლება, რომლის სარგებლობისათვისაც უწესდება პირს მხარდაჭერა. გადაწყვეტილება ასევე უნდა განსაზღვრავდეს მხარდაჭერის ფარგლებს, მხარდამჭერის უფლებებსა და მოვალეობებს, ანგარიშის წარდგენის პერიოდულობას, მხარდაჭერის ვადას და მისი გადასინჯვის პერიოდს, ასევე ნებისმიერ სხვა გარემოებას, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.¹⁶³ ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აკონკრეტებდეს და აზუსტებდეს პირის მხარდაჭერის სპეციფიკურობას და მისი გათვალისწინებით, უზრუნველყოფდეს მითითებას მხარდაჭერის განხორციელების თაობაზე.

შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ავლენს რამდენიმე მნიშვნელოვან ტენდენციას, სასამართლოს მხრიდან მხარდაჭერის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი, უმეტეს შემთხვევაში, მხარდაჭერის მექანიზმის გამოყენების ნაცვლად, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის მითითების გარეშე, რეალურად გულისხმობს ნების ჩანაცვლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, რამდენადაც პირდაპირ უთითებს მხარდასაჭერ სფეროში მხარდამჭერისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებაზე. გადაწყვეტილებათა ნაწილი, რომელიც ასევე ნების ჩანაცვლებას ადგენს, ეყრდნობა ნების ჩანაცვლების თაობაზე საგამონაკლისო რეგულაციას და ამ გამონაკლისის სრულად ავრცელებს უფლებების განხორციელების ყველა სფეროზე ან მხოლოდ პირის მიერ სამოქალაქო გარეგნების დადების უფლებამოსილებაზე. სასამართლო გადაწყვეტილებების ნაწილის მიხედვით, ნების ჩანაცვლების ფაქტობრივი გამოყენების გარდა, ასევე ადგილი აქვს მხარდაჭერის სისტემის გამოყენების შემთხვევებსაც, თუმცა, მთავარი ტენდენცია ამ ტიპის გადაწყვეტილებებში გულისხმობს სასამართლოს მიერ პირისათვის მხარდაჭერის დანიშვნას უფლებების რეალიზების ყველა სფეროში.

161. სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის N2/161-2015 გადაწყვეტილება; სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის N2/183-2015 გადაწყვეტილება; სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის N2/2014-2015 გადაწყვეტილება და სხვა

162. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 დეკემბრის N2/7799-15 გადაწყვეტილება და სხვა

163. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363²¹. ზ

სასამართლო გადაწყვეტილებები, უმეტესწილად, ასახავს მხარდაჭერის მოდელის არასწორ ხედვას, რაც ნაცვლად მხარდაჭერის დანიშვნისა, მხარდამჭერისათვის პირის ნების ჩანაცვლების უფლებამოსილების მინიჭებაში გამოიხატება. კერძოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის მითითების გარეშე, სასამართლო მხარდამჭერს წარმომადგენლობით უფლებას ანიჭებს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო ორგანოსთან ურთიერთობაში და ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას. მხარდამჭერები წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებთან არიან გაიგივებული, რაც მხარდაჭერის ინსტიტუტის არსს სრულად ეწინააღმდეგება და კანონმდებლობის აღსრულებისას, ფაქტობრივად, ქმედუნარიანობის გაუქმებულ მოდელს აბრუნებს.¹⁶⁴

მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლო, მხარდაჭერის დანიშვნისას, გადაწყვეტილებაში ადგენს მხარდამჭერის უფლებას „იყოს მხარდაჭერის მიმღების წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვა პირებთან, მიეცეს უფლება ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართოს განცხადებით, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები) მიენიჭოს უფლებამოსილება წარმოადგინოს მხარდაჭერის მიმღები როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში, წარადგინოს სარჩელი ან/და განცხადება, წარადგინოს საპელაციო და საკასაციო საჩივრები, საქმისწარმოება დაამთავროს მორიგებით და ა.შ. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მხარდამჭერს მიენიჭოს უფლებამოსილება დაიცვას მხარდაჭერის მიმღები პირის სხვა კანონიერი უფლებები, რაც გამომდინარეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსიდან.“¹⁶⁵ სასამართლოს მხრიდან წარმომადგენლობითი უფლების გადაცემის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მხარდამჭერს ეძლევა უფლებამოსილება „იყოს მხარდაჭერის მიმღები პირის წარმომადგენელი კუთვნილი სოციალური პაკეტის დანიშვნა/ცვლილებასთან დაკავშირებით, საჭირო პროცედურების განხორციელებისას ბანკში, სოციალური მომსახურების სააგენტოში, ასევე, მიეცეს წარმომადგენლობის უფლება სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო კომპანიებთან.“¹⁶⁶

სასამართლოების მიერ გამოყენებული მეორე მიდგომის მიხედვით, ნების ჩანაცვლების დასაახლებულად სასამართლოთა დიდი ნაწილი ეყრდნობა კანონმდებლობაში მოცემულ საგამონაკლისო წესს, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ ნების გამოვლენა 1 თვეზე მეტი ვადით შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მხარდაჭერის მიმღებ პირს, სასამართლო მხარდამჭერს აძლევს უფლებას მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ნორმას მხოლოდ საგამონაკლისო ხასიათი აქვს და მხოლოდ აუცილებელი გარიგებების დადებაზე შეიძლება გავრცელდეს, ის ერთი მხრივ, გამოიყენება როგორც ნების სრულად ჩანაცვლების ზოგადი სამართლებრივი საფუძველი, ხოლო მეორე მხრივ ამგვარი ზოგადი საფუძველი გარიგებების დადების ნაწილში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნების სრული ჩანაცვლების მიდგომა საგამონაკლისო ნორმის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლო, საგამონაკლისო ნორმის საფუძველზე, მხარდამჭერს მხარდაჭერის მიმღები პირის სახელით ანიჭებს ნებისმიერი მოქმედების შესრულების უფლებამოსილებას¹⁶⁷: „მხარდამჭერს ენიჭება უფლებამოსილება თვითონ განახორციელოს ზემოაღნიშნული უფლებები, მხარდაჭერის მიმღების ინტერესების შესაბამისად.“¹⁶⁸ საგამონაკლისო გარემოების დასაბუთების მიზნით, სასამართლო მსჯელობს პირის მდგომარეობაზე და ეყრდნობა მას, როგორც არა დროებით, არამედ ზოგად და უცვლელ მოცემულობას. ამასთან, სასამართლოს

164. სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის N2/296-15 გადაწყვეტილება; სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის N2/333-2015 გადაწყვეტილება; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N2/1739-15 გადაწყვეტილება და სხვა

165. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N2/1739-15 გადაწყვეტილება

166. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N2/1926-15 გადაწყვეტილება

167. შენიშვნა: აღნიშნული ხედვა ასახულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ამ დროისათვის მიღებული 24 გადაწყვეტილებიდან 23 მათგანში, 2016 წლის აპრილის მდგომარეობით მიიღო

168. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება

მსჯელობა არ უკავშირდება არსებული ვითარებიდან გამომდინარე პირისათვის იმ სავარაუდო ზიანის შეფასებას, რაც მას შესაძლოა მიაღწეს. აღნიშნული კი ერთობლიობაში საფუძვლად ედება გადაწყვეტილებას პირის ნების სრულად ჩანაცვლების თაობაზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ამგვარ მსჯელობას ავითარებს სასამართლო: „როდესაც მხარდაჭერის მიმღები პირის ფსიქოსოციალური შესაძლებლობები (რაც შეფასებულია ექსპერტების მიერ და რაშიც სასამართლო რწმუნდება ამ პირთან პირდაპირი კომუნიკაციის მცდელობის შედეგად) გამორიცხავენ ამ პირის უნარს გონივრული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღებაზე (სიმართლე რომ ითქვას, სამართალწარმოების პრაქტიკაში სწორედ ასეთი შემთხვევები ქმნიან - უმრავლესობას, ხოლო ზემოაღნიშნული, ასე ვთქვათ, „საკმარისად უნარიანი“ პირები კი უმცირესობას), ასეთ დროს, სასამართლო იძულებულია, ამ პირის ბედი ანდოს მისი ოჯახის წევრს - მხარდამჭერს.“¹⁶⁹

ნათელია, რომ საგამონაკლისო ნორმის ვიწრო შინაარსის მიუხედავად (მისი გამოყენება მხოლოდ სამოქალაქო გარიგებების დადებისათვისაა შესაძლებელი), სასამართლო მას დაუსაბუთებლად ავრცელებს ყველა სფეროზე, რითაც აუარესებს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებრივ მდგომარეობას.

საგამონაკლისო ნორმის გამოყენების ერთ-ერთ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს, მხარდამჭერებისათვის მხარდაჭერის მიმღებთა სახელით გარიგებების დადების უფლებამოსილების მინიჭება, არა საგამონაკლისო, არამედ ყველა რეგულარულ შემთხვევაში,¹⁷⁰ რაც არ მოიცავს ინდივიდუალური მოცემულობისა და პირისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხის შეფასებას.¹⁷¹

სასამართლოს გადაწყვეტილებათა ის ნაწილი, რომელიც არ იყენებს ნების ჩანაცვლებას და ცდილობს, კანონით დადგენილი მხარდაჭერის მექანიზმის იმპლემენტაციას კონკრეტულ საქმეებში, პრობლემურია ინდივიდუალური მიდგომების არარსებობიდან გამომდინარე. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილში, ხშირად, არ ხდება იმ სფეროებზე მითითება, რომელთა კავშირშიც დგინდება მხარდაჭერის საჭიროება და ამგვარი აუცილებლობის განზოგადება ხდება პირის ყველა უფლებაზე.¹⁷²

გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილის ზოგადი შინაარსი, კონკრეტული უფლებებისა და სფეროების მითითების არარსებობა, გარდა ინდივიდუალური მიდგომის გამორიცხვისა, ასევე ვერ უზრუნველყოფს მხარდამჭერის ვალდებულებების განჭვრეტადობას და აზრკოლებს გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობის ეფექტური პროცესის წარმართვას. ამასთან, პრობლემურია ის, რომ გადაწყვეტილებათა სარეზოლუციო ნაწილები არ განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს, მისი განხორციელების ინტენსივობასა და ფორმებს, რის გამოც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, ჯეროვნად განახორციელოს მონიტორინგის ვალდებულება.

აღსანიშნავია, სასამართლოს გადაწყვეტილებების ენა, რომელიც კვლავ იყენებს არასათანადო ტერმინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, როგორცაა, „ინვალიდობა“, „ინვალიდი“,¹⁷³ „დაუნის დაავადებით დაავადებული“¹⁷⁴ და სხვა.

საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი ავლენს რეფორმის შინაარსის არაერთგვაროვან და წინააღმდეგობრივ აღქმას მოსამართლეების მხრიდან, რაც ხშირ შემთხვევაში, სრულიად განსხვავე-

169. იქვე

170. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N1058146-2/332-15 გადაწყვეტილება; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N2/101-15 გადაწყვეტილება; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 აგვისტოს N2/685-15 გადაწყვეტილება და სხვა

171. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1293.4

172. შენიშვნა: გადაწყვეტილებები ძირითადად მოიცავენ მითითებას, რომ პირს მხარდამჭერი დაენიშნოს კონკრეტულ „და სხვა უფლებებში“

173. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის N1006149-2/221-15 გადაწყვეტილება; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის N1025578-2/262-15 გადაწყვეტილება და სხვა

174. სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის N2/232-15 გადაწყვეტილება

ბულ სამართლებრივ შედეგებს აყენებს მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის.

სასამართლოები, მიუხედავად ნების ჩანაცვლების შესაძლებლობის გაუქმებისა, კვლავ ამ პრაქტიკას მიმართავენ, რაც საბოლოოდ მხარდაჭერის სისტემის ამოქმედების საკითხს სრულად აყენებს ეჭვქვეშ. დღეის მდგომარეობით, სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მექანიზმის ამუშავებას, ხოლო ცალკეულ მოსამართლეთა მცდელობა დანერგონ მხარდაჭერის ინსტიტუტი, უმეტეს შემთხვევაში, აცდენილია მის მთავარ პრინციპს, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების თაობაზე.

11. მხარდაჭერის სისტემა, მისი ადმინისტრირება და ზედამხედველობა მხარდაჭერების საქმიანობაზე

11.1. მხარდაჭერის სისტემის დანერგვა

ქმედუნარიანობის რეალიზების კონვენციისეული გაგება არ ამოიწურება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობის უფლების აღიარებით. ის, ამავდროულად, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური და მრავალმხრივი მხარდაჭერის სისტემების ამუშავებას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა რეალურად შეძლონ ქმედუნარიანობით სათანადო სარგებლობა. შესაბამისად, სახელმწიფოების ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების მოდელი შეცვალონ გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელით, თავად ამ მოდელის გაუქმების პარალელურად, ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ალტერნატივების დანერგვას და განვითარებას,¹⁷⁵ რაც უშუალოდ განაპირობებს სამართალსუბიექტობის უფლების რეალიზებას.

კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს ყველა პირი უზრუნველყონ ხელმისაწვდომი და აუცილებელი მხარდაჭერით.¹⁷⁶ ტერმინ „მხარდაჭერას“ არ გააჩნია კონკრეტული შინაარსი. რამდენადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირი ინდივიდუალურია, მხარდაჭერის ტიპი, ინტენსივობა და შინაარსიც შესაძლოა განსხვავებული იყოს.¹⁷⁷ იგი შეიძლება გვხვდებოდეს არატრადიციული მეთოდებითაც, ფორმალური და არაფორმალური სახით.¹⁷⁸ სახელმწიფოებს ევალება, უზრუნველყონ მხარდაჭერა, განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომლებიც იზოლირებულები არიან და შეიძლება არ მიუწვდებოდეთ ხელი იმ მხარდაჭერაზე, რომელიც ბუნებრივად არსებობს საზოგადოებაში.

ქმედუნარიანობის სისტემის არსებითი რეფორმირებით, სახელმწიფომ აიღო მხარდაჭერითი სისტემის შექმნის, დანერგვისა და განვითარების ვალდებულება. თუმცა, ქმედუნარიანობის საკანონმდებლო რეფორმას არ მოჰყოლია სისტემური ცვლილებები, რომელიც ახალი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული, ფინანსური თუ ადამიანური რესურსის მობილიზების პირობებში, შექმნიდა მხარდაჭერის შესაბამის სერვისს ქვეყანაში და მისაწვდომს გახდიდა მას მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისათვის.¹⁷⁹

შედეგად, რეფორმამ, რომელმაც ქმედუნარიანობის მოდელის პარადიგმული ცვლილება გაითვალისწინა, აღსრულების მიზნებისათვის არ მოიცვა ინსტიტუციური სისტემის ისეთი გარდაქმნა, რაც უზრუნველყოფდა მხარდაჭერის კომპლექსური სქემის ამოქმედებას და სათანადო ცოდნით, გამოცდილებით, მხარდაჭერის ტექნიკებითა და ტაქტიკებით აღჭურვილი, განვითარებული მხარდაჭერითი სერვისის შექმნას.¹⁸⁰ რაც ასევე აჩვენებს სახელმწიფოს მხრიდან რეფორმის აღსრულების ხედვის, სტრატეგიის არქონას და მხარდაჭერის სისტემის დანერგვის მნიშვნელობის გაუაზრებლობას.

11.2. მხარდამჭერთა როლი რეფორმის აღსრულების პროცესში

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელის დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება მხარდამჭერებს, ვინაიდან მათ მომზადებასა და ინდივიდუალურ უნარ-ჩვევებზეა

175 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.28

176 იქვე: პ.16

177 იქვე: პ.18

178 იქვე: პ.17

179 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 22 დეკემბრის N04/98775 კორესპონდენცია; შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან, 31.03.2016

180 სამუშაო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ექსპერტებთან და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, 09.02.2016

დამოკიდებული რეფორმის პრაქტიკული იმპლემენტაცია.

ადეკვატური მხარდაჭერის განხორციელება გულისხმობს შესაბამისი ცოდნით, ტექნიკითა და კომუნიკაციის სტრატეგიით აღჭურვილ მხარდამჭერებს, რომლებიც გასწევენ სერვისის მხარდაჭერის მიმღები პირების საჭიროებების შესაბამისად. მხარდაჭერითი მოდელის დანერგვა ასევე გულისხმობს უშუალოდ მხარდამჭერი პირებისადმი შესაბამისი გაძლიერების სერვისების არსებობას, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს იმ კონტექსტსა და საზოგადოებაში, რომელშიც არ არსებობდა გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის გამოცდილება.

შესაძლოა გამოვყოთ დღეს მოქმედი ორი ტიპის მხარდამჭერის მოდელი იმის მიხედვით, მხარდამჭერი ფიზიკური პირია თუ სახელმწიფო. მოქმედი კანონმდებლობით, მხარდამჭერი შესაძლოა იყოს მხარდაჭერის მიმღები პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი. ამ მოდელის გამოყენებისას, სასამართლო, მხარდამჭერთა არჩევის ეტაპზე, ითვალისწინებს პირის პიროვნულ თვისებებს, მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირის ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებსა და ნებას.¹⁸¹ ასეთი შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარდამჭერად განისაზღვრება სახელმწიფო, რომელიც ამ ფუნქციას სააგენტოს სოციალური მუშაკების მეშვეობით აღასრულებს.¹⁸²

საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მხარდაჭერის შინაარსს ადგენს, მხარდამჭერის ვალდებულებად განსაზღვრავს მხარდაჭერის მიმღები პირის სამედიცინო მომსახურების მუდმივ მეთვალყურეობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერის გაწევას, შესაბამისი საკომუნიკაციო ფორმით.¹⁸³ შესაბამისად, წინასწარ დადგენილია მხარდამჭერის კანონისმიერი ვალდებულება მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის თაობაზე, რაც შეიძლება არ გამოიმდინარეობდეს მხარდაჭერის გაწევის საჭიროებიდან და ამასთან, წარმოადგენდეს არასაჭირო და არათანაზომიერ ტვირთს მხარდამჭერისათვის. დასახელებული ვალდებულება შეიძლება იქცეს მხარდაჭერის შინაარსისა და ფორმის ნაწილად, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ამის დადგენა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ, პირის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით.

მხარდამჭერთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს მხარდამჭერის უფლების არაცხადი რეგულირება, უარი თქვას მხარდაჭერის გაწევაზე. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებას, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონკრეტული პირისაგან მხარდაჭერის მიღება და მოითხოვოს ახალი მხარდამჭერი. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მხარდამჭერის სავალდებულო თანხმობას, ვალდებულების დაკისრების დროს. თუმცა, იგი არ ადგენს, მასზე უარის თქმის წესს, უშუალოდ მოვალეობის განხორციელების პროცესში, საამისოდ მნიშვნელოვანი და საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი.

მხარდაჭერის სისტემის გაუმართაობის მიმართ არსებული კრიტიკა უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი მხარდაჭერის ხარისხს. მხარდაჭერის ახალი მოდელის ამოქმედების შედეგად, მხარდაჭერის განხორციელება სოციალური მუშაკების დამატებით ფუნქციად განისაზღვრა. სათანადო მხარდაჭერის მიწოდება კი, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოსთან იყოს დაკავშირებული. მხარდამჭერის ფუნქციის დამატებით ვალდებულებად განსაზღვრა რესურსებით იმთავითვე ლიმიტირებული სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, თავისთავად, ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფოს მიერ სათანადო მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობას.¹⁸⁴ ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმცირე და სოციალურ მუშაკთა არასათანადო მომზადების პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის რეფორმის აღსრულება

181 სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1280.2; მუხლი 1280.3

182 „საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 239 სოციალური მუშაკია და თითოეულს 23 მიმართულებით უწევს საქმიანობის განხორციელება.“ შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან, 31.03.2016; სამუშაო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ექსპერტებთან და სერვისის მიწოდებელ ორგანიზაციებთან, 09.02.2016

183 სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1289

184 შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან, 31.03.2016

აქტიურად არ არის დაწყებული, უკვე ცხად გამოწვევად დგას სააგენტოს წინაშე.¹⁸⁵ ამასთან, დღეის მდგომარეობით, სააგენტოს არ გააჩნია არათუ საკმარისი და გადაამზადებული შიდა რესურსი, არამედ ცოდნა და შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო პროფესიონალური დახმარებით უზრუნველყოს მხარდამჭერად დანიშნული სხვა ფიზიკური პირები.

მხარდამჭერის ინსტიტუტის გაუმართაობის პირობებში, ჩნდება რეფორმის მხოლოდ საკანონმდებლო სივრცეში დარჩენისა და მისი რეალური იმპლემენტაციის შეუძლებლობის საფრთხე, რაც მხარდამჭერის მიმღები პირების უფლებების შელახვის შემთხვევებს კიდევ უფრო დაფარულს გახდის.

მხარდამჭერის ინსტიტუტის ხარვეზები, პროფესიონალური დახმარებისა თუ მონეტარული/არამონეტარული ბენეფიტების სისტემის არარსებობა მხარდამჭერთათვის, განსაკუთრებით მათი ფართო მოვალეობების, ვალდებულებების და სამართლებრივი პასუხისმგებლობების¹⁸⁶ გათვალისწინებით, მხარდამჭერის ფუნქციას შეუსაბამოდ დიდ ტვირთად აქცევს პოტენციური მხარდამჭერი პირებისათვის.¹⁸⁷ აღნიშნული კი გაართულებს ქმედუნარიანობის ახალი სისტემის ხარისხიან დანერგვას, არ წახალისებს ფიზიკური პირების მხარდამჭერთა სისტემაში შენარჩუნებას და შეუწყობს ხელს უშუალო მხარდამჭერის ფუნქციის სრულად სახელმწიფოზე გადატანის პრაქტიკის დამკვიდრებას.

11.3. მხარდამჭერის სისტემის ადმინისტრირება და ზედამხედველობა მხარდამჭერის განხორციელებაზე

კანონმდებლობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქციად განსაზღვრავს როგორც მხარდამჭერის სისტემის ადმინისტრირებას¹⁸⁸ და აღსრულებას¹⁸⁹, ასევე აღსრულების პროცესზე ზედამხედველობასა და მონიტორინგს.

კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ მიჯნავს კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის მხარდამჭერად ყოფნის შემთხვევაში და მას ერთსა და იმავე საკანონმდებლო ჩარჩოში აქცევს. ეს, თავის მხრივ, ვერ ჩაითვლება შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების გარანტიად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარდამჭერიც და მისი მაკონტროლებელი სუბიექტიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა. შესაბამისად, დღეს არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტისაგან დაცვილი ზედამხედველობის სისტემის არსებობას, რაც მხარდამჭერის მიმღებ პირთა უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტის ფუნქციას უნდა ასრულებდეს.

აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმის ერთ სისტემაში თავმოყრის პრობლემურობის გარდა, ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს სასამართლოების პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს გადაწყვეტილებათა სარეზოლუციო ნაწილებში არ ხდება მხარდასაჭერი სფეროების, მხარდამჭერის ფარგლებისა და ფორმების ზუსტად განსაზღვრა.¹⁹⁰ სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების ფარგლების ბუნდოვანება, მხარდამჭერთა ვალდებულებების ნათლად განუსაზღვრელობა შესაბამისი მხარდასაჭერი

185 შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან, 31.03.2016

186 სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1508⁵.გ; მხარდამჭერთა მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულება ითვალისწინებს მაღალი პასუხისმგებლობის ზომებს, მათ შორის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფორმებით

187 სამუშაო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ექსპერტებთან და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, 09.02.2016

188 სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1508³.ა, მუხლი 1508³.გ

189 იქვე: მუხლი 1280.4

190 ვრცლად იხილეთ თავი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

სფეროების დეტალიზების გარეშე, აბრკოლებს ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას.¹⁹¹

ასევე, მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების სააგენტოს როლი და ფუნქცია რეფორმის ზოგადი ადმინისტრირების მიმართულებით, განსაკუთრებით კი, გარდამავალ პერიოდში იმ პირთა მიმართ, რომლებიც ინდივიდუალურ შეფასებამდე კვლავ ქმედუუნარო პირებად ითვლებიან. კანონმდებლობით გაიწერა მეურვეთა ვალდებულება (მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე სახელმწიფო) 2015 წლის 1 აპრილიდან ოთხი წლის განმავლობაში, მიმართონ სასამართლოს, პირის ინდივიდუალური შეფასების მიზნით.¹⁹² ამასთან, კანონმდებლობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ვალდებულებად განსაზღვრავს ქმედუუნარო პირთა მეურვეების ინფორმირებას მათი ვალდებულების შესახებ საანგარიშო პერიოდში მიმართონ სასამართლოს სამეურვეო პირების ინდივიდუალური შეფასების მიზნით.¹⁹³

სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 10 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში ქმედუუნაროდ აღიარებულია 3 462 პირი. 2016 წლის 13 აპრილის მდგომარეობით, სულ 322 პირი იქნა ცნობილი მხარდაჭერის მიმღებად. ამათგან, მხოლოდ 32 მათგანი წარმოადგენს წარსულში ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს. დასახელებული სტატისტიკის ფარგლებში, მხოლოდ 6 შემთხვევაში იყო მიმართვის ინიციატორი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ხოლო 316 საქმის შემთხვევაში, ინიციატორს ფიზიკური პირები წარმოადგენდნენ. ამ დროისათვის, სააგენტოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე 40 საქმეა ინიცირებული.¹⁹⁴

რეფორმის დანერგვიდან ერთი წლის მანძილზე, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთა საერთო რიცხვთან (3 462) შედარებით, უკიდურესად დაბალია ქმედუუნაროდ აღიარებული პირების ინდივიდუალური შეფასების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის მაჩვენებელი, როგორც ფიზიკური პირების, ისე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან. შესაბამისად, დაბალია იმ ქმედუუნარო პირთა რიცხვი (32), რომელთა სტატუსის გადახედვა საანგარიშო პერიოდში განხორციელდა.

არსებული პროგრესი აჩვენებს, რომ სისტემა ვერ უზრუნველყოფს რეფორმის ნორმალური ტემპებით განხორციელებას, რაც განაპირობებს ასეულობით პირის ქმედუუნაროდ აღიარების მდგომარეობის შენარჩუნებას და კითხვებს აჩენს შემდგომში მის სათანადოდ წარმართვაზე. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ქმედუუნაროდ აღიარებული პირების ინდივიდუალური შეფასების მიზნით მიმართვიანობის 3 წლიანი გეგმა, რომელიც გარდამავალ პერიოდში რეფორმის ეფექტურ აღსრულებას დროში გაწერილს, რეალისტურსა და გარანტირებულს გახდის. ამასთან, მნიშვნელოვანია ინტენსიური საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიისა და ინფორმირების ღონისძიებების წარმოება მიზნობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის, ქმედუუნაროდ აღიარებული პირების, მეურვეების, სპეციალიზებული და ფსიქიატრიული დაწესებულებებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, არ განხორციელებულა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციების, შესაძლებლობებისა და რესურსების რეფორმის მიზნებთან შესაბამისი კრიტიკული გადააზრება, რაც რეფორმის სათანადო აღსრულების საკითხს სრულად აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

191 შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან, 31.03.2016; სოციალური მომსახურების სააგენტოს საკანონმდებლო ინიციატივის სამუშაო ვერსია „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დოკუმენტის სამუშაო ვერსია EMC-ის მიაწოდა სოციალური მომსახურების სააგენტომ)

192 სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1508¹

193 იქვე: მუხლი 1508^{3b}

194 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 აპრილის N04/30803 კორესპონდენცია

12. რეკომენდაციები

ქმედუნარიანობის სისტემის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შესაბამის საკანონმდებლო აქტებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- საჯარო სამსახურში დასაქმების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებიდან, მოიხსნას მხარდაჭერის მიმღები პირისათვის მათი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის მომენტიდან თანამდებობის დაკავების, ასევე თანამდებობიდან გათავისუფლების/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ბლანკეტური შეზღუდვა და განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც დაადგენს მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, შრომითი უფლების განხორციელებაში მხარდაჭერის დადგენისა და მისი ფარგლების განსაზღვრის შესაძლებლობას;
- ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონსა და საარჩევნო კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გზით, მოიხსნას შეზღუდვა, რომელიც სტაციონალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ, მკურნალობას დაქვემდებარებულ, მხარდაჭერის მიმღებ პირებს ბლანკეტური და დისკრიმინაციული მიდგომით უზღუდავს პოლიტიკურ პროცესებში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გზით მონაწილეობის უფლებას;
- გაუქმდეს პასიური საარჩევნო უფლების შემზღუდავი კანონმდებლობა, რომელიც პირის მხარდაჭერის საჭიროების დადგენის შემთხვევაში, მისი სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს;
- გადაიხედოს ის საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ ბავშვის მინდობით აღზრდის შესაძლებლობას მისი დედობილად/მამობილად ყოფნის აკრძალვის გზით;
- გაუქმდეს მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული პირის მამობის დადგენის რეგისტრაციის, ასევე, იმ ბავშვის მიმართ, რომლის მამა აღიარებულია მხარდამჭერად, მამობის დადგენის პროცედურის მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც მხარდასაჭერი სფეროების გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ითვალისწინებს მამობის დადგენას;
- სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელებით, მოიხსნას მხარდაჭერის მიმღები პირის ქორწინების შემთხვევაში საქორწინო კონტრაქტის მავალდებულებელი ნორმა, რომელიც ბლანკეტურად, ინდივიდუალური შეფასების გარეშე, ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღების საქორწინო კონტრაქტის დადების სავალდებულობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირს გარიგებების დადების ნაწილში მხარდამჭერი არ ჰყავს დანიშნული;
- „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმა გაითვალისწინოს სამედიცინო კვლევაში მხარდაჭერის მიმღები პირის მონაწილეობის წინაპირობად ინფორმირებული წერილობითი თანხმობის/ინფორმირებული თანხმობის სტანდარტი და მოიხსნას დათქმა, პროცესში მხარდამჭერის სავალდებულო მონაწილეობის თაობაზე;
- სამოქალაქო კოდექსის მხარდაჭერის მიმღები პირის გარიგებებში მონაწილეობის სამართლებრივი შედეგების განმსაზღვრელ ნორმებში განხორციელდეს ცვლილება, რომელიც მხარდაჭერის მიმღების მიერ მხარდაჭერის გარეშე დადებულ გარიგების სამართლებრივ შედეგს მხარდაჭერის მიმღები პირის ნებას დაუქვემდებარებს;
- ცვლილება განხორციელდეს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმაში, რომელიც მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ დადებულ წერილობით გარიგებებში მხარდამჭერის ხელმოწერის არარსებობას მის ავტომატურ ბათილობას უკავშირებს;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გზით, ცხადად

განისაზღვროს ქმედუწუნაროდ აღიარებული პირებისათვის გარდამავალ პერიოდში, მათ ინდივიდუალურ შეფასებამდე, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და უფლება მათ მიერ ნების უშუალო გამოხატვაზე ნებაყოფლობით სტაციონარში მოთავსებისას.

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, უზრუნველყოფილი იქნეს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოების სასარჩელო წარმოებად გარდაქმნის/დაწყების შესაძლებლობა, რაც იქნება პროცესში მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის გარანტი;
- კანონმდებლობაში ცალსახად გაიწეროს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის უფლება, უარი თქვას მხარდაჭერის მიღებაზე, რაც პროცესის სასარჩელო წარმოებაში გადაზრდის ან განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი იქნება;
- კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის იძულებითი ექსპერტიზის პროცედურის საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც ექსპერტიზის ჩატარებას დაუქვემდებარებს პირის ნების ავტონომიას და გარანტირებულს გახდის მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ხელშეუხებლობას. აღნიშნული ასევე გულისხმობს სოციალურ მუშაკთა ინტენსიურ მუშაობის რეგულირებას რისკებისა და საფრთხეების პრევენციისა და პირის ნების ავტონომიურობის გარანტირებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფისას. იძულებითი ექსპერტიზის შესახებ რეგულაციის შენარჩუნების შემთხვევაში, ცალსახად განისაზღვროს პირის უფლება მის გასაჩივრებასთან დაკავშირებით;
- მოიხსნას მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრ ექსპერტთა შეზღუდვა, საექსპერტო დასკვნის გაცემაზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ ექსპერტის მიიჩნევა, რომ შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნია;
- ნათლად განისაზღვროს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა, რაც თავისმხრივ დაფუძნებული იქნება მულტიდისციპლინური შეფასების მიდგომასა და მეთოდზე. ამასთან, კანონმდებლობამ ცხადად მოაწესრიგოს ალტერნატიული ექსპერტიზის, როგორც მტკიცებულების, მიმართება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებულ საექსპერტო დასკვნასთან;
- აღმოიფხვრას აღსრულებისა და ზედამხედველობის ფუნქციების ერთი ორგანოს ხელში თავმოყრის შესაძლებლობა და შეიქმნას მხარდამჭერის საქმიანობაზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ზედამხედველობის განხორციელების გარანტიები;
- მოიხსნას მხარდამჭერი პირის ვალდებულება, მხარდაჭერის მიმღები პირისათვის მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის თაობაზე და მისი სავალდებულოობა დადგინეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ;
- კანონმდებლობამ მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძველად გაითვალისწინოს მხარდამჭერის უარი მხარდაჭერის განხორციელებაზე და ნათლად ასახოს მხარდამჭერი პირის პატივისცემის საფუძვლის არსებობისას, მისი ვალდებულებისაგან ნებაყოფლობითი გათავისუფლების უფლების განხორციელების პროცედურა.

ქმედუნარიანობის სისტემის სათანადო აღსრულების მიზნებისათვის განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსამართლეთა ეტაპობრივი მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებები, ქმედუნარიანობის სისტემის მოქმედ კანონმდებლობასა და კონვენციის პრინციპებთან თანხვედრი იმპლემენტაციის მიზნით;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრების ეტაპობრივი მომზადებისა და გადამზადების პროცესი, პირის მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის შესახებ კანონმდებლობისა და კონვენციის პრინციპების სათანადო განხორციელების მიზნით;

- შემუშავდეს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების ფორმა, რაც გაამართლებს სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის ეტაპზე მოთხოვნის პირის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ფორმულირებას;
- ქმედუნარიანობის სისტემის შინაარსისა და მიზნის კონვენციასთან შესაბამისი გააზრების/დანერგვის მიზნით შემუშავდეს სახელმძღვანელოები მოსამართლეთათვის, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის, სოციალური მუშაკებისა და მხარდამჭერებისათვის;
- მხარდაჭერის სისტემის სათანადო იმპლემენტაციის მიზნით, დაიგეგმოს სისტემური ინსტიტუციური ცვლილება, რომელიც შესაბამისი ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსის გაჩენის გზით, უზრუნველყოფს ხარისხიანი და მისაწვდომი მხარდაჭერის სერვისის არსებობას;
- შეიქმნას და დაინერგოს მხარდაჭერის სერვისი, რომელიც გაითვალისწინებს მხარდამჭერებისათვის ინფორმირების, გადაშვადებისა და ინდივიდუალური საჭიროებებთან თანხვედრი გაძლიერების კომპონენტებს;
- სასამართლოების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გაითვალისწინონ მხარდაჭერის მიმღები პირის მხარდასაჭერი სფეროების, მხარდაჭერის ფარგლებისა და ფორმების ზუსტი მითითება, რაც შესაძლებელს გახდის, გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას;
- ქმედუნაროდ აღიარებული პირების ინდივიდუალური შეფასების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, შემუშავდეს სასამართლოსადმი მიმართვიანობის 3 წლიანი გეგმა, რომელიც ინდივიდუალური შეფასების პროცესს დროში გაწერილს, რეალისტურსა და გარანტირებულს გახდის;
- განხორციელდეს ინტენსიური საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანია და მიზნობრივი ინფორმირების ღონისძიებები ქმედუნაროდ აღიარებული პირების, მეურვეების, სპეციალიზებული და ფსიქიატრიული დაწესებულებებისათვის.